



## ანგარიში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის  
მდგომარეობის და ინსპექციონის  
საქმიანობის შედეგად

2016 წელი

პერსონალურ მონაცემთა  
დაცვის მდგომარეობისა და  
ინსპექტორის საქმიანობის  
შესახებ ანგარიში

2016 წელი



პერსონალურ მონაცემთა დაცვის  
ინსპექტორის აპარატი

## სარჩავი

|   |     |
|---|-----|
| შესავალი  | 5   |
| მონაცემთა დაზოგავების საფუძვლები და პროცესები   | 11  |
| პროცესორული მონაცემების მართვა და ხელმძღვანელობა<br>ინტერნეტ-სერვისები  | 39  |
| ფარული საბაზოებო მოქმედებებსა და საბაზოდაცხად<br>ორგანიზების მიერ პროცესორული მონაცემთა დაზოგავების<br>გადამხდელობა   | 61  |
| ვიდეოთვალთვალი  | 79  |
| პროცესორული მართვა  | 89  |
| მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ინფორმირება   | 99  |
| ინტერნეტ-სერვისების მონაცემთა საბაზოდაცხადმოქმედებით პროცესორული,<br>სამონაცემთადაცხადმოქმედებით და სხვა საბაზოდაცხად | 107 |

## შესავალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის ანგარიში მიმოიხილავს ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით არსებულ ტენდენციებს, ინსპექტორის აპარატის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გამოწვევებს, გამოვლენილ სამართალდარღვევებს, მათზე რეაგირების შედეგებსა და სხვა პრობლემატურ საკითხებს.

2016 წელი აღსანიშნავია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ინსტიტუციური გაძლიერების, ინსპექტირების, მომართვეიანობისა და გამოვლენილი სამართალდარღვევების გაზრდილი მაჩვენებლების კუთხით.

წინა წელთან შედარებით 2016 წელს 3-ჯერ გაიზარდა მოქალაქეების, საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის განუღი კონსულტაციების რაოდენობა; ასევე 2-ჯერ გაიზარდა ფიზიკური პირების განცხადებებისა და ინსპექტირების რიცხოვნობა; გამოვლინდა სამართალდარღვევის 221 ფაქტი; 63 ორგანიზაციას დაეკისრა ჯარიმა; 35 ორგანიზაციას მიეცა გაფრთხილება; არაერთ საჯარო და კერძო ორგანიზაციას დაევა-ლა მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად სათანადო ორგანი-ზაციულ-ტექნიკური ზომების გატარება და ამ მიზნით გაიცა 202 მითითება და რეკომენდაცია; 47 შემთხვევაში, ადმინისტრაცი-ული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გამო, პასუხისმგებ-



ლობის დაკისრება ვერ მოხდა, ხოლო 6 შემთხვევაში, დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, საქმე გადაეცა უფლებამოსილ სამართალდამცავ ორგანოს.

მიღებული განცხადებებისა და ინსპექტირების შედეგად შესწავლილ იქნა მონაცემთა დამუშავება შემდეგ ორგანიზაციებში/სექტორებში:

#### საჯარო სექტორი



#### ქარძო სექტორი



ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით მომზადდა ინსპექტორის აპარატის 2017-2021 წლების ინსტიტუციური განვითარების სტრატეგია; განისაზღვრა უწყების ღირებულებები, მისია, ხედვა, ძირითადი მიზნები და 2-წლიანი სამოქმედო გეგმა; პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებისა და საგანმანათლებლო მიზნით არაერთი შეხვედრა და საინფორმაციო კამპანია განხორციელდა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით დაიწყო მუშაობა საკანონმდებლო წინადადებებზე, რაც მოქმედი კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას ისახავს მიზნად; ინსპექტორის აპარატის ჩართულობით გაღრმავდა ევროპის საპოლიციო სამსახურთან (ევროპოლი) თანამშრომლობა. ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით დაიწყო მუშაობა მედიისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაზე, რომელთა მთავარი მიზანი მოქალაქეთა პირადი ცხოვრების გაშუქებისას ბალანსის დაცვის წახალისებაა. ინსპექტორის აპარატმა უმასპინძლა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხებველო ორგანოების პირველ კონფერენციას. გაღრმავდა ორმხრივი თანამშრომლობა სხვა ქვეყნების მონაცემთა დაცვის საზედამხებველო ინსტიტუციებთან; ასევე მზარდია ინტერესი საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის მხრივ გატარებული რეფორმის მიმართ.





**მონაცემთა დამუშავების  
საფუნძვლები და პრინციპები**

## მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები

ნებისმიერი ადამიანის პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებასა და მონაცემთა დამუშავებელი კერძო თუ საჯარო ორგანიზაციების ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც კანონით გათვალისწინებული პრინციპების დაცვა, ასევე მონაცემთა დამუშავებისთვის შესაბამისი კანონიერი საფუძვლის არსებობა.

პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემატურ საკითხად კვლავ მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაუცველობა რჩება. 2016 წლის განმავლობაში შესწავლილი ორგანიზაციების დიდი ნაწილი მონაცემებს ლეგიტიმური მიზნის არაადეკვატური და არაპროპორციული მოცულობით ამუშავებს. ხშირია, ასევე, უვადოდ ან არაადეკვატურად ხანგრძლივი ვადით მონაცემთა შენახვის პრაქტიკაც. აღნიშნული კი არაერთ მოქალაქეს უქმნის პრობლემას, მათ შორის, სხვადასხვა სახის მომსახურების მიღების პროცესში. გამოიკვეთა, ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არასწორი ინფორმაციის გამჟღავნების გამო, ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების უარყოფითი წნეხის ქვეშ მოქცევის ფაქტები.

2016 წელს ინსპექტორის მიერ განხილული 216 განცხადებიდან 121 მოქალაქის განცხადება სწორედ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების საკითხს უკავშირდებოდა; აქედან, განცხადებების დიდი ნაწილი ეხებოდა მათ ფინანსურ მონაცემებზე წვდომისა და სასესხო ვალდებულებების შესახებ მონაცემ-



ბის მესამე პირებისთვის გამჟღავნებას, ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

განხილული განცხადებებისა და ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა მონაცემთა საფუძვლის გარეშე დამუშავებისა და პრინციპების დარღვევის 121 შემთხვევა. ორგანიზაციების ნაწილს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით დაეკისრა სახდელი – ჯარიმა ან გაფრთხილება, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში, პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრა, სამართალდარღვევის ჩადენიდან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მიუხედავად ამისა, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ორგანიზაციებს მიეცათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებები.

ამ ანგარიშში წარმოდგენილია 2016 წელს ინსპექტორის საქმიანობის შედეგად გამოვლენილი ძირითადი კანონდარღვევები; ასევე, მოცემულია კონკრეტული მაგალითები, რომელთა განზოგადება და ანალიზი ნათლად წარმოაჩენს პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობას.

## **ქრედიტინფო მონაცემთა ბაზა**

2016 წელს კვლავ აქტუალური იყო საკრედიტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი, რასაც ადასტურებს საკრედიტო მონაცემების დამუშავების თაობაზე კონსულტაციებისა და განცხადებების რაოდენობის ზრდა. სს „კრედიტინფო საქართველო“ კომერციული ბანკების მიერ დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში მოქმედი კრედიტის გამცემი ორგანიზაციებისგან მუდმივ



რეჟიმში იღებს ინფორმაციას ფიზიკური თუ იურიდიული პირების ფულადი ვალდებულებების შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ფორმირდება მონაცემთა ბაზა, რომელზე წვდომის უფლების მინიჭებისთვის საკმარისია მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, შეთანხმებული საფასურის სანაცვლოდ.

პირის გადახდისუნარიანობის შესახებ ინფორმაცია და მისი სამომავლო საკრედიტო ქცევის პროგნოზირება კრედიტის გამცემი ორგანიზაციების საქმიანობისათვის უმნიშვნელოვანესია. სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში ყოველთვიურად 3 მილიონამდე ძიება აღინიშნება ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ონლაინმსესხებლების, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიების, ესტეტიკური მომსახურების დაწესებულებების, სამშენებლო და სადისტრიბუციო კომპანიებისგან. ინსპექტორმა 2015 წლის ანგარიშში მიუთითა სს „კრედიტინფო საქართველოს“ საქმიანობის ნორმატიულ დონეზე რეგულირების აუცილებლობის შესახებ და ეს საკითხი 2016 წელსაც არ კარგავს აქტუალობას. აღნიშნულ ბაზაში მონაცემთა დამუშავების კანონიერების მნიშვნელობას ხაზს უსვამს მონაცემთა ბაზის მოცულობაც, რომელშიც დაახლოებით 2 300 000 ფიზიკური პირის შესახებ არის ჩანაწერი.

ინსპექტორისთვის წარდგენილი განცხადებებით მოქალაქეები უმეტესწილად სადავოდ ხდიდნენ სს „კრედიტინფო საქართველოს“ ბაზაში არსებულ მათ მონაცემებზე წვდომის კანონიერებას; რიგ შემთხვევებში კი შესწავლის საგანს წარმოადგენდა აღნიშნულ ბაზაში ასახული მონაცემების სიზუსტე და კანონდარღვევით მონაცემებზე წვდომის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის ბაზიდან წაშლის შესაძლებლობა.



სს „კრედიტინფო საქართველოს“ ბაზით სარგებლობა გულისხმობს არა მხოლოდ პირის ფულადი ვალდებულების შესახებ ინფორმაციის მიღებას, არამედ მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოთვლილი სარეიტინგო ქულის (ე.წ. ინდივიდუალური ნაერთი სქორი) ხელმისაწვდომობასაც. „ინდივიდუალური ნაერთი სქორი“ პირის საგადახდო ქცევის, მასთან დაკავშირებული ფიზიკური პირებისა და კომპანიების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ახდენს მისი სამომავლო საკრედიტო ქცევის პროგნოზირებას, ადგენს ვადაგადაცილების ალბათობას და პოტენციური რისკის კატეგორიას. კრედიტის გაცემამდე პრაქტიკულად ყველა ორგანიზაცია ამონმებს და ითვალისწინებს სს „კრედიტინფო საქართველოს“ მიერ გამოთვლილ საკრედიტო სარეიტინგო ქულას.

თუმცა საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ზემოხსენებული ბაზით სარგებლობის ფაქტები ისეთი ორგანიზაციებისგანაც, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ კავშირში არ არის საკრედიტო მომსახურებასთან. მათ შორის იყვნენ, მაგალითად, კოსმეტიკური და ესთეტიკური მომსახურების გამწვევი ორგანიზაციები, რომლებიც მონაცემთა ბაზაზე წვდომის საჭიროებას მომხმარებლის გადახდისუნარიანობის შემოწმების მიზნით ხსნიდნენ. მათი განმარტებით, პროდუქცია გაიცემოდა „შიდა განვადების“ პირობებით და მომხმარებლის საკრედიტო ისტორიის გაცნობა შესაბამისი ფინანსური რისკის განსაზღვრისთვის იყო მნიშვნელოვანი.

კრედიტის გამცემი ორგანიზაციების მიერ სს „კრედიტინფო საქართველოსთვის“ ფინანსური ვალდებულების შესახებ ინფორმაციის გადაცემა ან/და ორგანიზაციის მონაცემთა ბაზაში საკრედიტო მონაცემებზე წვდომა, მხარეთა შორის გაფორმებული სტანდარტული ხელშეკრულების თანახმად, დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა



სუბიექტის თანხმობის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის მიერ შესწავლილი საქმეებიდან კვლავ გამოვლინდა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემების გადამონმების ფაქტები. აღსანიშნავია ისიც, რომ წინასწარ არ არის განსაზღვრული პირთა/ორგანიზაციათა წრე, რომელთაც მხოლოდ შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეთ სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაზე წვდომის უფლებამოსილება, სს „კრედიტინფო საქართველო“ კი თავად ვერ უზრუნველყოფს ბაზაში დაცულ მონაცემთა გადაცემამდე თითოეული მონაცემის დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის არსებობის დადგენას, რაც განსაკუთრებით ზრდის მონაცემებზე უკანონო წვდომის რისკს.

საგულისხმოა, რომ სს „კრედიტინფო საქართველო“ ინახავს არა მხოლოდ ფინანსური დავალიანების მქონე პირის შესახებ ინფორმაციას („ნეგატიური ისტორია“), არამედ მონაცემებს იმ პირების შესახებაც, რომლებმაც სრულად და ჯეროვნად შეასრულეს შესაბამისი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ნაკისრი ვალდებულებები. მათი სარეიტინგო ქულის გამოთვლაზე კი გავლენას ახდენს ბაზაში პირის შესახებ მონაცემებზე წვდომის ფაქტ(ებ)ი და რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში საკრედიტო ისტორიაზე უარყოფითი გავლენის მოხდენის პრევენციის მიზნით, ინსპექტორს განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა, რომლებიც მოითხოვდნენ სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში მათ შესახებ უკანონოდ დამუშავებული მონაცემის წაშლას. საკითხის შესწავლის შემდგომ ინსპექტორმა დაადგინა, რომ სხვადასხვა მომხმარებლის მიერ განმცხადებლების მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებული ინფორმაცია აისახებოდა და ინახებოდა სს „კრედიტინფო საქართველოს“



სისტემაში. ვინაიდან განცხადებების განხილვის ფარგლებში ასევე დადგინდა მონაცემებზე კანონის დარღვევით წვდომის ფაქტი, ინსპექტორის გადანყვეტილებით, სს „კრედიტინფო საქართველოს“ დაევალა, ნაეშალა მონაცემებზე კანონდარღვევით განხორციელებული წვდომის შესახებ ინფორმაცია. ამას გარდა, სს „კრედიტინფო საქართველოს“ დაევალა მონაცემთა ბაზაში მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული საკრედიტო ისტორიის მონაცემებიდან სუბიექტის მონაცემებზე უკანონოდ განხორციელებული წვდომის შესახებ ინფორმაციის ნაშლის წესების შემუშავება და დანერგვა, ამ მიზნით კი, შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარება.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოვლინდა ორგანიზაციისთვის განკუთვნილი მომხმარებლის სახელის არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოყენების შემთხვევებიც. ინსპექტორის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეზე კი სს „კრედიტინფო საქართველოს“ დაევალა მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემების შენახვისა და ნაშლის ვადების ნათლად და ამომწურავად განსაზღვრა.

**პირის საკრედიტო ინფორმაციაზე არამართლზომიერი წვდომისგან დასაცავად მნიშვნელოვანია:**

- *კრედიტის გამცემმა ორგანიზაციებმა მონაცემებზე წვდომა განხორციელონ მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლისა და შესაბამისი კანონიერი მიზნის არსებობისას;*
- *სს „კრედიტინფო საქართველომ“ შეიმუშაოს სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები მონაცემთა ბაზაზე არასანქცირებული წვდომის რისკის მინიმუმამდე დასაცავანად;*



- საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს მონაცემთა ბაზით სარგებლობის წესები, მონაცემთა კატეგორია, მონაცემთა შენახვის ვადები; საჭიროებიდან გამომდინარე, შეიზღუდოს მონაცემთა ბაზით სარგებლობის უფლებამოსილების მქონე პირთა წრე და სხვა.

## **ონლაინსახების გახსნა და პრობლემატიკის სისხების ამოღობი კომპანიების მიერ მონაცემთა დამუშავება**

ელექტრონული ფორმით სესხის გაცემის პროცესის სიმარტივე, ხელმისაწვდომობა, სისწრაფე – ამ და სხვა ფაქტორების გამო, ონლაინსესხის სერვისით სულ უფრო მეტი მოქალაქე სარგებლობს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის ონლაინსესხების გამცემი კომპანიების მხრიდან პერსონალური მონაცემების დამუშავების მოცულობას. კომპანიები მსესხებლის შესახებ ინფორმაციას, ძირითადად, მოიპოვებენ ონლაინრეჟიმში, თავად მონაცემთა სუბიექტისგან. როგორც წესი, სესხის მსურველი პირი რეგისტრირდება კომპანიის ვებგვერდზე, ელექტრონული განაცხადის ფორმაში მიუთითებს თავის მონაცემებს (მაგ. სახელს, გვარს, პირად ნომერს, მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას და სხვა) და ეთანხმება (ლილაკის – „ვეთანხმები“ მონიშვნით) კომპანიის მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების პირობებს. უმეტეს შემთხვევაში, ელექტრონულ განაცხადში გამიჯნული არ არის სავალდებულოდ და არასავალდებულოდ შესავსები გრაფები; ამასთანავე, მსესხებელი, როგორც წესი, ნაკლებად ეცნობა ხელშეკრულების პირობებს, დეტალურად. შედეგად, მას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, თუ რა მიზნით და მოცულობით გამოიყენებს კომპანია მის პერსონალურ მონაცემებს და რა პრობლე-



მეტი შეიძლება მოჰყვეს, მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით, მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას (მსესხებლის სამსახურთან ან ოჯახთან კრედიტორის სახელით დაკავშირება, დავალიანების შესახებ ინფორმაციის ყოველგვარი საჭიროების გარეშე გამჟღავნება და ა.შ.)

2016 წლის განმავლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ განხილული განცხადებების საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ ონლაინსესხების გამცემი და პრობლემური სესხების ამომღები კომპანიების მიერ მონაცემების დამუშავების კანონიერებას შეეხებოდა. განმცხადებლები, ძირითადად, მიუთითებდნენ მათი ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციის მესამე პირებისათვის (ოჯახის წევრების, მეზობლების, მეგობრების ან/და თანამშრომლებისთვის) უკანონოდ გამჟღავნების ფაქტებზე, ასევე, სესხის ხელშეკრულებებში პერსონალური მონაცემების დამუშავების მარეგულირებელი პუნქტების კანონშესაბამო შინაარსზე.

## **ფინანსური დავლიანების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება**

ფიზიკური პირის ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაცია (დავალიანების არსებობა, მისი ოდენობა, გადახდის ვადა და სხვა) წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და მისი გამჟღავნება მესამე პირ(ებ)ისთვის დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მონაცემთა გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი (მაგ. მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის აღმატებული კანონიერი ინტერესი და სხვა), მონაცემთა გამჟღავნება აუცილებელია კონკრეტული კანონიერი მიზნის მისაღწევად და გამჟღავნებული



მონაცემების მოცულობა შეესაბამება ლეგიტიმურ მიზანს. მონაცემთა დამმუშავებლები, მით უფრო ფინანსურ სექტორში მომუშავე ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, ვალდებული არიან, დაიცვან სამართლიანი ბალანსი თავიანთ კანონიერ ინტერესებსა და მსესხებლის პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას შორის. მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების (მათ შორის, ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციის) მესამე პირებისთვის გამჟღავნება პირდაპირ კავშირში უნდა იყოს მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციის ლეგიტიმური ინტერესის დაცვასთან და წარმოადგენდეს მიზნის მიღწევისთვის აუცილებელ ზომას.

2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ ერთ-ერთმა ონლაინსესხის გამცემმა კომპანიამ მისი ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაცია გაუმჟღავნა მის თანამშრომლებს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პირები განმცხადებელს სესხის ხელშეკრულებაში არ ჰყავდა მითითებული, როგორც საკონტაქტო პირები. ამასთან, სესხის ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხარეებს შორის კომუნიკაციის მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ ფორმას (სატელეფონო ნომრით, ელექტრონული ფოსტითა და მისამართზე დაკავშირებით) და არ მოიცავდა მესამე პირებისათვის ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, კომპანიამ განმცხადებელთან კომუნიკაციის გზად აირჩია სწორედ მესამე პირების მეშვეობით



მასთან დაკავშირება და მათ გაუმჟღავნა განმცხადებლის ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაცია. კომპანიას არ გამოუყენებია განმცხადებელთან პირდაპირი კომუნიკაციის სხვა საშუალებები; ამასთან, მესამე პირებისათვის განმცხადებლის ფინანსური დავალიანების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ წარმოადგენდა აუცილებლობას; კომპანიას განმცხადებლის ინფორმირება შეეძლო იმგვარად, რომ მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია. ამდენად, კომპანიას არ გააჩნდა განმცხადებლის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი. კომპანიის მიერ მონაცემთა მესამე პირისათვის გამჟღავნებით დადგინდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის დარღვევა და კომპანიას დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ჯარიმის სახით.


ხშირია შემთხვევები, როდესაც ონლაინსესხის გამცემი კომპანიები პრობლემურ სესხს გადასცემენ სესხების გადახდის უზრუნველყოფაზე მომუშავე სხვა კომპანიებს. ასეთ შემთხვევებში, ხშირად სესხის ამომღებ კომპანიას გადაეცემა მსესხებლის პერსონალური მონაცემები და ენიჭება უფლებამოსილება, იმოქმედოს სესხის გამცემი კომპანიის სახელით/მისი მიზნებისათვის. ამ შემთხვევაში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის ის წარმოადგენს სესხის გამცემი კომპანიის – მონაცემთა დამმუშავებლის უფლება-



მოსილ პირს. 2016 წელს გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილმა პირებმა სესხის გადახდის უზრუნველსაყოფად მიმართეს მონაცემთა დამუშავების ისეთ მეთოდებს, რომელთა სამართლებრივი საფუძველი, კანონიერი მიზანი და აუცილებლობა არ არსებობდა. მათ შორის იყო: მსესხებლის სამუშაო ადგილზე, საცხოვრებელ მისამართზე ვიზიტი და ფინანსური დავალიანების შესახებ საკითხის სხვა პირების თანდასწრებით განხილვა; მსესხებლის მოძიება მის ყველა შესაძლო ნაცნობთან დაკავშირების გზით; ნაცნობებისთვის მსესხებლის ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციის პირდაპირ თუ ირიბად მიწოდება და სხვა.

როგორც სესხის გამცემი, ასევე პრობლემური სესხის გადახდის უზრუნველყოფაზე მომუშავე კომპანიები ვალდებული არიან, მონაცემთა გამჟღავნებისას გაითვალისწინონ მონაცემთა დამუშავების კანონით დადგენილი წესები და აკრძალვები. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება მათთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი. მონაცემთა კანონდარღვევით დამუშავების ფაქტები, გარდა იმისა, რომ ლახავს მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, ზიანს აყენებს კომპანიის სახელსა და საქმიან რეპუტაციასაც.

როგორც წესი, სესხის ხელშეკრულებები ითვალისწინებს მსესხებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ სტანდარტულ პირობებს, რომლითაც მსესხებელი თანხმდება თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ასეთი პირობების შინაარსი მოქალაქეთათვის ბუნდოვანია, კონკრეტული ხელშეკრულების მუხლების ზოგადი ფორმულირებების გამო. კანონის მიხედვით, თანხმობა მონაცემ-



მთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაა.

პერსონალური მონაცემების დამუშავების მარეგულირებელი სახელშეკრულებო პირობების შედგენისას გასათვალისწინებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები არა ფორმალურ, არამედ შინაარსობრივ ჭრილში. ხელშეკრულებაში ცხადად და ნათლად უნდა აისახოს მონაცემთა დამუშავების სავარაუდო მოცულობა და ფარგლები, მათ შორის – ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემის შემთხვევები და ფორმები.

2016 წელს ინსპექტორის მიერ შესწავლილ რამდენიმე შემთხვევაში სესხის ხელშეკრულების პირობები არ ჩაითვალა მონაცემთა კონკრეტული მიზნითა და ფორმით დამუშავებაზე მსესხებლის მიერ გაცხადებულ თანხმობად, მათი არასრული, ზოგადი ან/და ფართო ფორმულირების გამო. ყველა მსგავს ვითარებაში, კომპანიებს მიეცათ რეკომენდაცია, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო პირობებში ნათლად მიეთითებინათ კონკრეტული მიზანი და დამუშავების ფორმები.

2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ ერთ-ერთ ონლაინსესხების გამცემ კომპანიასა და მას შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც შეეხებოდა



მსესხებლის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, ეწინააღმდეგებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. სესხის ხელშეკრულების ხსენებული პუნქტის ფორმულირება იყო შემდეგი: „ხელშეკრულებით, მომხმარებელი კომპანიას ანიჭებს უპირობო უფლებას, მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია), მომხმარებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს მესამე პირებს, მათ შორის: მომხმარებლის მიერ მითითებულ საკონტაქტო პირებს, ოჯახის წევრებსა და მომხმარებლის მისამართზე მცხოვრებ სხვა პირებს, პრობლემური სესხების ამოღებაზე მომუშავე კომპანიებს, თანხის გადარიცხვის სერვისის მომწოდებელ კომპანიებს და სხვა პირებს. მესამე პირებისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემა შესაძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზაციისა და არსებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მათ შორის, მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას მსესხებლის მოძიებისა და სესხის გადახდევინების მიზნით.“

განცხადების განხილვის ფარგლებში ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სესხის ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტი იყო ზოგადი, ფართო; ცალკეულ შემთხვევებში განმცხადებელს არ აძლევდა ინფორმაციას მისი მონაცემების მესამე პირებისათვის, მათ შორის, ოჯახის



წევრებისათვის გადაცემის შესაძლო მიზნების შესახებ. სახელშეკრულებო პირობა, კონკრეტული აუცილებლობისა და საჭიროების დასაბუთების გარეშე, ვერ მიიჩნეოდა განმცხადებლის ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციის მესამე პირებისთვის გამჟღავნებაზე გაცხადებულ ნებაყოფლობით თანხმობად.

აღწერილ შემთხვევაში, ინსპექტორის გადანყვეტილებით, დამმუშავებელს მიეცა მითითება, პერსონალური მონაცემების დამუშავების მარეგულირებელ სახელშეკრულებო პირობებში მკაფიოდ და კონკრეტულად ჩამოეყალიბებინა მონაცემთა დამუშავების მიზნები და რეალური საჭიროების მიხედვით განესაზღვრა დასამუშავებელი მონაცემების მოცულობა.

**მნიშვნელოვანია, სესხების გამცემმა და პრობლემური სესხების ამომღებმა კომპანიებმა მონაცემთა დამუშავებისას:**

- მონაცემთა სუბიექტებს ნათლად მიაწოდონ ინფორმაცია მათი მონაცემების დამუშავების, მათ შორის, სავარაუდოდ გამჟღავნების შემთხვევების შესახებ (ვის შეიძლება გაუმჟღავნონ მონაცემები, როდის, რა შემთხვევაში და რა მოცულობით);
- პირის დავალიანების შესახებ ინფორმაცია მესამე პირებს გაუმჟღავნონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება აუცილებელი და უკიდურესი ზომა კომპანიის კანონიერი მიზნის მისაღწევად და მონაცემები გაამჟღავნონ მინიმალური მოცულობით.



## უფლებამოსილი აირისთვის მონაცემთა დამუშავების დავალებასთან დაკავშირებული საკითხები

ხშირად მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციები სარგებლობენ სხვადასხვა კომპანიის მომსახურებით და მათთან დაცულ პერსონალურ მონაცემებს ამ კომპანიებისთვისაც ხელმისაწვდომს ხდიან. ასეთ შემთხვევაში კომპანიები მონაცემებს ამუშავებენ დავალების გამცემი ორგანიზაციისთვის/მისი სახელით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის წარმოადგენენ მონაცემთა დამმუშავებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ უფლებამოსილ პირებს. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი ფორმითა და წესით.

2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილ პირსა და მონაცემთა დამმუშავებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ერთობლივად არეგულირებდა რამდენიმე მომსახურების განწვევის საკითხს და შინაარსობრივად მოიცავდა პერსონალური მონაცემების დამუშავების დავალებასაც. გარკვეულ შემთხვევებში, ასეთი დავალება არ შეესაბამებოდა კანონით დადგენილ წესს. მაგალითად, ხელშეკრულება არ იყო გაფორმებული წერილობით; არ იყო განერილი მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის შესაბამისი მექანიზმები; გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილმა პირმა გადააჭარბა ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებამოსილებებს და სხვა.



2016 წელს, ერთ-ერთი განცხადების განხილვის ფარგლებში, ინსპექტორმა შეისწავლა ონლაინსესხის გამცემ და პრობლემური სესხების გადახდის უზრუნველყოფაზე მომუშავე კომპანიებს შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება, პერსონალური მონაცემების დამუშავების დავალების ნაწილში. გაირკვა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება არ შეიცავდა კანონით დადგენილ აკრძალვებსა და მონაცემთა დამუშავების წესებს, არ იყო განერილი მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმები და უფლებამოსილების გადამეტების პრევენციის საშუალებები. ამასთან, კომპანიებმა განმარტეს, რომ მონაცემთა დამუშავებელი უფლებამოსილ პირს მონიტორინგს საერთოდ არ უწევდა, მაშინ, როდესაც, კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას, შესაბამის ხელშეკრულებაში ასახოს კანონით გათვალისწინებული წესები, აკრძალვები და მონაცემთა უსაფრთხოების უფლებამოსილი პირის მიერ ზომების მიღების ვალდებულება, რათა მინიმუმამდე შეამციროს მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნებისა თუ სხვაგვარად დამუშავების რისკი.

კომპანიებს დაევალოთ, მონაცემთა დამუშავების დავალების შესახებ ხელშეკრულება შესაბამისობაში მოეყვანათ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.



განცხადებების განხილვის ფარგლებში გამოვლინდა პერსონალური მონაცემების დამუშავების დავალების შესახებ წერილობითი შეთანხმების არარსებობისა და უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესის დაურეგულირებლობის რამდენიმე ფაქტი. გაურკვეველი იყო, რას მოიცავდა დავალება, რა ფორმით უნდა შესრულებულიყო და როგორ იქნებოდა უზრუნველყოფილი მონაცემთა კეთილსინდისიერად დამუშავება და მისი უსაფრთხოება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უფლებამოსილმა პირმა მონაცემები უნდა დაამუშაოს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, ემსახურება მონაცემთა თავდაპირველი მიზნის შეუსაბამო და კანონდარღვევით დამუშავების პრევენციას. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა დამუშავება დაავალოს მაქსიმალურად კვალიფიციურ, სანდო და კეთილსინდისიერ პირს, რადგან შესაძლებელია, უფლებამოსილი პირის არაკეთილსინდისიერებამ გამოიწვიოს პერსონალური მონაცემების კანონდარღვევით გამოყენება.

2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ მისი ფინანსური დავალიანების არსებობის და ოდენობის შესახებ ინფორმაცია გამსესხებელმა სატელეფონო საუბრისას გაუმჟღავნა მისი ოჯახის წევრებს. როგორც გაირკვა, განმცხადებელი მკაცრად ასაიდუმლოებდა ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნების შემდეგ კი წარმოიშვა მწვავე კონფლიქტი განმცხადებელსა და მისი ოჯახის წევრებს შორის.



განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ მონაცემები დამუშავდა უფლებამოსილი პირის მეშვეობით. კერძოდ, უფლებამოსილმა პირმა პირადი ინიციატივით, დამმუშავებელთან შეუთანხმებლად, დაადგინა განმცხადებლის ოჯახის წევრების ვინაობა, მოიპოვა მათი სატელეფონო ნომრები და გაუმჟღავნა მათ განმცხადებლის ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაცია. უფლებამოსილ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, უფლებამოსილი პირი ვალდებული იყო, კეთილსინდისიერად შეესრულებინა დავალებები, რომლებიც უნდა ყოფილიყო მართლზომიერი, განხორციელებადი და კონკრეტული; ამასთან, უფლებამოსილ პირს ეკრძალებოდა მსესხებლის პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გამჟღავნება. დადგინდა, რომ მონაცემთა დამმუშავებელს უფლებამოსილი პირისთვის არ მიუნიჭებია განმცხადებლის ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციის მისი ოჯახის წევრებისათვის გამჟღავნების უფლებამოსილება. ამასთან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არ არსებობდა განმცხადებლის ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობა.

ვინაიდან, აღწერილ შემთხვევაში, უფლებამოსილმა პირმა გადააჭარბა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და განმცხადებლის მონაცემები მესამე პირებს გაუმჟღავნა კანონის დარღვევით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით სწორედ მას დაეკისრა.



## **უფლებამოსილი პირისთვის მონაცემების დამუშავების დავალებისას ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ:**

- დავალების ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით და ითვალისწინებდეს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სპეციალურ წესებსა და აკრძალვებს;
- დაუშვებელია მონაცემთა დამუშავების შესახებ ხელშეკრულების დადება, თუ უფლებამოსილი პირის საქმიანობიდან ან/და მიზნებიდან გამომდინარე, არსებობს მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების საფრთხე;
- დაუშვებელია უფლებამოსილი პირის მიერ ნებისმიერი სხვა მიზნით მონაცემთა შემდგომი დამუშავება. უფლებამოსილმა პირმა მონაცემთა დამუშავების უფლება სხვა პირს მონაცემთა დამმუშავებლის თანხმობის გარეშე არ უნდა გადასცეს;
- მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას.

## **დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების დამუშავება**

საჯარო და კერძო ორგანიზაციები შრომის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და თავად დამსაქმებლების თანხმობის საფუძველზე ამუშავებენ დასაქმებული პირების პერსონალურ მონაცემებს. რიგ შემთხვევებში ორგანიზაციებს აქვთ ლეგიტიმური ინტერესი, მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით დაამუშაონ დასაქმებული პირების შესახებ გარკვეული მოცულობის ინფორმაცია, თუმცა ორგანიზაციების ინტერესების დაცვა არ უნდა მოხდეს დასაქმებულ პირთა უფლებების არაპროპორციული შეზღუდვის ხარჯზე.



საანგარიშო პერიოდში არაერთი მსხვილი კერძო ორგანიზაციის შემონმების შედეგად დადგინდა, რომ ორგანიზაციები განუსაზღვრელი ვადით ინახავენ სხვადასხვა კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, იმ შემთხვევაშიც, კი როდესაც აღარ არსებობდა აღნიშნული მონაცემების დამუშავების კანონიერი მიზანი. მაგალითად, გამოვლინდა, რომ ორგანიზაციები რამდენიმე წლის განმავლობაში ინახავდნენ იმ დასაქმების კანდიდატების მონაცემებს, რომელთაც ვერ გაიარეს კონკურსი. შენახულ მონაცემებს შორის იყო: კანდიდატთა რეზიუმეები, მათ მიერ წარდგენილი ცნობები, კანდიდატთა ოჯახის წევრების მონაცემები და მათი ტესტირების შედეგები. ორგანიზაციებმა ვერ დაასაბუთეს, თუ რა მიზნით ინახავდნენ დასაქმების კანდიდატთა პერსონალურ მონაცემებს განუსაზღვრელი ვადით.

დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მსჯელობისას ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დასაქმებული პირების მიერ სამუშაო პერიოდში განხორციელებული მიმონერის მონიტორინგის კანონიერების საკითხი. მართალია, მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სამსახურებრივი მიმონერის მონიტორინგის კონკრეტულ წესებს, მაგრამ დასაქმებული პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცულობა და მიმონერის მონიტორინგი მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორს განცხადებით მომართა ორმა მოქალაქემ, რომლებიც მიუთითებდნენ დამსაქმებლის მიერ მათ სარგებლობაში არსებული ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების მონიტორინგისა და მათი პირადი მიმონერის შინაარსის გაცნობაზე. საკითხის შესწავლის პროცესში გამოვლინდა,



რომ დასაქმებული პირების სარგებლობაში არსებული ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებები რეგისტრირებული იყო კომპანიის სახელით და დასაქმებული პირების მიერ გამოიყენებოდა კომპანიის მომხმარებელთან კომუნიკაციის მიზნებისთვის. ასევე დადგინდა, რომ დასაქმებული პირები ინფორმირებულნი იყვნენ მომხმარებელთან ურთიერთობის ხარისხის კონტროლის მიზნით მათ სარგებლობაში არსებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების მონიტორინგის თაობაზე, თუმცა კომპანია დასაქმებულ პირებს ანიჭებდა უფლებამოსილებას, სამსახურებრივი მიზნებისთვის გადაცემული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები გამოეყენებინათ პირადი მიმონერის მიზნითაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, განცხადების განხილვის ფარგლებში შესწავლილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ კომპანიას არ ჰქონდა განსაზღვრული დასაქმებული პირების სარგებლობაში არსებული ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების მონიტორინგის ფარგლები და მიზნები, რაც ქმნიდა დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების არაპროპორციული დამუშავების საფრთხეს. ინსპექტორის გადამწყვეტილებით, მონაცემთა დამუშავებელს მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია.

#### **დასაქმებული პირების მიმონერის მონიტორინგის დროს ორგანიზაციებს ევალებათ:**

- *მკაფიო ინსტრუქციები მისცენ დასაქმებულებს, შეიძლება თუ არა სამსახურებრივი ელ. ფოსტის, ტელეფონისა თუ სხვა კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება პირადი მიზნით;*



- დასაქმებულების წინასწარი ინფორმირება სამსახურებრივი მიმოწერის მონიტორინგის შესახებ, ასევე, თუ რა შემთხვევაში და რა ფორმით მოხდება იგი;
- მონიტორინგი აწარმოონ მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას და გაეცნონ მხოლოდ აუცილებელი, მინიმალური მოცულობის ინფორმაციას.

დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების კუთხით მნიშვნელოვანია 2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილების გათვალისწინება საქმეზე *Barbulescu v. Romania* (2016). საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ერთ-ერთმა კერძო კომპანიამ სამსახურებრივი მიზნებისთვის შექმნილი „Yahoo Messenger-ის“ სამსახურებრივ საათებში პირადი მიმოწერისთვის გამოყენების გამო, სამსახურიდან გაათავისუფლა დასაქმებული პირი. ამასთან, ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდა, რომ კომპანიის შიდა რეგულაცია კრძალავდა სამუშაო დროს ორგანიზაციის საკომუნიკაციო საშუალებების პირადი მიზნებისთვის გამოყენებას და დასაქმებულ პირებს წერილობითი ფორმით ეცნობათ ეს გარემოება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაცული იყო სამართლიანი ბალანსი პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და დამსაქმებლის ინტერესებს შორის, რადგან დასაქმებულ პირს ერთმნიშვნელოვნად ეკრძალებოდა „Yahoo Messenger-ის“ პირადი მიზნებისთვის გამოყენება, ამასთან, დამსაქმებელი მოქმედებდა უფლებამოსილების ფარგლებში და თანამშრომლის მონიტორინგი ლიმიტირებული და პროპორციული იყო. აღსანიშნავია, რომ ევროპის სასამართლოს განმარტებით, სამუშაო შენობიდან სატელეფონო



ზარის განხორციელება, ისევე, როგორც ელექტრონული მიმონერა, დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით. თუ დასაქმებული არ არის გაფრთხილებული მონიტორინგის შესახებ, მას აქვს ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მისი პირადი კომუნიკაცია და ინტერნეტით სარგებლობა დაცულია ჩარევისგან. ამავდროულად, ევროპის სასამართლოს გადანყვეტილება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით განსხვავდებოდა დასაქმებული პირების მონაცემების დამუშავების შესახებ სხვა საქმეებზე მიღებული გადანყვეტილებებისგან (იხილეთ საქმეები *Halford v. United Kingdom* (1997) და *Copland v. United Kingdom* (2007)), ვინაიდან ამ შემთხვევაში დამსაქმებლის შიდა რეგულაცია მკაცრად კრძალავდა კომპანიის კომპიუტერისა და რესურსების პირადი მიზნით გამოყენებას.

## სასტუმროების შემონება

სასტუმროების მართვის პროცესში დამუშავებული პერსონალური მონაცემების მოცულობის, შინაარსის, დამუშავების პროცესში ჩართული პერსონალის სიმრავლისა და სხვა რისკების გათვალისწინებით, 2016 წელს შემონმდა სასტუმროების სამი ქსელი, შემონმების ფარგლებად კი განისაზღვრა კომპანიების მიერ სასტუმროს მართვის პროცესში სტუმრებთან დაკავშირებით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.

სასტუმროები სტუმრების შესახებ ფლობენ ისეთ მონაცემებს, როგორცაა: სტუმრის სახელი და გვარი; პასპორტის ნომერი; საკრედიტო ბარათის მონაცემები; სტუმართან დაკავშირებით ელექტრონულ პროგრამაში შესრულებული ყველა ტრანზაქციის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, სასტუმროს ნომრის დაჯავშნა, ჯავშნის გაუქმება, სტუმრის განთავსება, სტუმრის სპეციალური მოთხოვნები, სასტუმროში სხვადასხვა პერიოდში ბინადრობის ისტორია, ინფორმაცია



სასტუმროს ნომრიდან განხორციელებული სატელეფონო ზარების, ასევე სასტუმროში ყოფნის განმავლობაში შექენილი საქონლისა თუ მომსახურების და სხვა).

ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემების ამსახველი მასალების დეპერსონალიზაცია ან ნაშლა არ მომხდარა არც ერთი სასტუმროს შემთხვევაში და სტუმრის შესახებ მონაცემები ინახებოდა, ფაქტობრივად, მათი დაფუძნების მომენტიდან განუსაზღვრელი ვადით, მაშინ, როდესაც აღარ არსებობდა აღნიშნული მონაცემების დამუშავების საჭიროება და შესაბამისი კანონიერი მიზანი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტი ნათლად ადგენს მონაცემთა შენახვის ვადის განმსაზღვრელ კრიტერიუმს; კერძოდ, აღნიშნული პუნქტის თანახმად, მონაცემების შენახვა შეიძლება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს და განადგურდეს, ან შენახულ იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კომპანიების მიერ მონოდებული ინფორმაციით, სასტუმროს მართვის პროცესში სტუმრების მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვა განპირობებული იყო სტატისტიკური მიზნით, რაც ვერ მიიჩნევა კანონიერი მიზნის ადეკვატურ საშუალებად, ვინაიდან სტატისტიკური მიზნებისათვის დეპერსონალიზებული ინფორმაციის გამოყენებაც საკმარისია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიებს დაევაღათ ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც შესაბამისი ვადის გასვლის შემდგომ შესა-




ძლებელს გახდიდა მონაცემების ნაშლას, განადგურებას ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვას. ეს სრულად გამორიცხავს პერსონალურ მონაცემთა კანონდარღვევით გამოყენების რისკს, იმგვარად, რომ სასტუმროების მიზანი – აწარმოოს სტუმრების შესახებ არსებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი კვლავ შესაძლებელი იქნება ისეთი ფორმით, რომელიც უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს კომპანიების მიერ მინოდებული მომსახურების ხარისხის გაზრდას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოძველებული მონაცემების ნაშლა/განადგურება გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულებისა, ასევე ემსახურება კომპანიების ფინანსურ ინტერესებსაც, ვინაიდან, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შენახვა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯთან.

### **სასტუმროებმა კლიენტთა მომსახურებისას:**

- მაქსიმალურად ზუსტად უნდა განსაზღვრონ საჭიროებები, რომლის შესაბამისადაც გამოითხოვენ კონკრეტულ ინფორმაციას კლიენტებისგან და შემდგომ დაამუშავენ;
- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მიღებული ინფორმაციის შენახვის ვადა და, ასევე, იმ სუბიექტთა წრე, რომლებსაც შესაძლოა, წვდომა ჰქონდეთ კლიენტთა შესახებ სასტუმროში დაცულ მონაცემებზე;
- კომერციული მიზნის ამოწურვისთანავე უნდა წაიშალოს/განადგურდეს პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია ან სტატისტიკური მიზნებისთვის დეპერსონალიზებულად შეინახონ.



2016 წელს გაზრდილია ინსპექტირების, მომართვიანობისა და გამოვლენილი სამართალდარღვევების მაჩვენებლები





კერსონალიზირი მონაცემების  
გამოქვეყნება და  
ხელმძღვანელობა  
ინტერნეტსივრცეში

## პერსონალური მონაცემების გამაღიანება და ხელმისაწვდომობა ინტერნეტსივრცეში

კანონმდებელმა მონაცემთა სუბიექტს (ფიზიკურ პირს) მიანიჭა უფლება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ვის, რა მიზნით და რა მოცულობის პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლება მისცეს. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაშინ, როდესაც საჯარო და კერძო ინტერესები შესაძლოა, აღემატებოდეს მოქალაქის ინტერესებს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილი მონაცემთა დამუშავების პრინციპები მონაცემთა დამუშავების საფუძვლებთან ერთობლიობაში ქმნის მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის გარანტიას.

მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა განსაკუთრებით საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს მონაცემთა სუბიექტისთვის მისი პერსონალური მონაცემების ინტერნეტში გასაჯაროების შემთხვევაში. ამ სივრცეში ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის და პირთა განუსაზღვრელ წრეს ეძლევა შესაძლებლობა, გასაჯაროებული პერსონალური მონაცემები გამოიყენოს პირადი ინტერესებისთვის. ხშირად მონაცემთა გასაჯაროება შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი საშუალება, თუმცა ყოველთვის უნდა მოხდეს შეფასება – შესაძლებელია თუ არა, გასაჯაროვდეს ინფორმაცია იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მონაცემთა სუბიექტის ინტერესები.

2016 წელს ინსპექტორს განცხადებით მომართა სამ-  
მა არასრულწლოვანმა. ისინი მიუთითებდნენ, რომ  
ინტერნეტსივრცეში გასაჯაროებული იყო თბილისის  
საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომელიც შეეხ-  
ებოდა განმცხადებლების ერთ-ერთი მშობლისთვის  
წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვას. ინტერ-  
ნეტსაძიებო სისტემაში განმცხადებლების სახელი-  
სა და გვარის მითითებისას ხელმისაწვდომი ხდებოდა  
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ვებ-  
გვერდზე განთავსებული განმცხადებლების პერსონ-  
ალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, კერ-  
ძოდ, 2014 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს  
განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ.

განცხადების განხილვის ფარგლებში გამოვლინდა,  
რომ საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე,  
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ვებ-  
გვერდზე პერმანენტულად ქვეყნდებოდა სასამართ-  
ლოს განჩინებები საჯარო შეტყობინებების შესახებ,  
თუმცა განსაზღვრული არ იყო, თუ რა ვადაში უნდა  
მომხდარიყო აღნიშნული მონაცემების ვებგვერდიდან  
წაშლა. რამდენადაც, საჯარო შეტყობინებების გამო-  
ქვეყნებას ითვალისწინებს საპროცესო კანონმდებლო-  
ბა, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ მისი კომპეტენცია არ  
ვრცელდებოდა სასამართლოში სამართალწარმოების  
მიზნით მონაცემების დამუშავებაზე, მათ შორის, სა-  
ჯარო შეტყობინებების გამოქვეყნებაზე. განსახილველ  
შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა ის გარემოე-

ბაც, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროდან დადგენილი გამონაკლისი სახეზეა მანამ, სანამ არსებობს სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების საჭიროება და პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. აღნიშნული მიზნის მიღწევის შემდგომ სასამართლოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე, მათ შორის პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლოს განჩინებების ვებგვერდზე გასაჯაროებაზე, სრულად ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ იგი მიიჩნევა მხარისთვის ჩაბარებულად, შესაბამისად, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ არ იკვეთებოდა პერსონალური მონაცემების შემცველი განჩინების ვებგვერდზე განთავსების კანონიერი მიზანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს დაევალა, შეეფასებინა და განესაზღვრა, შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად, რა ვადით და რა მოცულობით იყო საჭირო პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო შეტყობინებების ვებგვერდზე საჯაროდ განთავსება და უზრუნველყო ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შესაძლებელს გახდიდა გასაჯაროებული მონაცემების ვებგვერდიდან წაშლას. ინსპექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭომ მიიღო 2016 წლის 12 სექტემბრის №1/250 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ საჯარო შეტყობინება საჯაროდ ხელმისაწვდომი აღარ არის.

ანალოგიურად შეფასდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შეტყობინებების/წინადადებების განუსაზღვრელი ვადით ვებგვერდზე გასაჯაროება. ერთ-ერთი განცხადების განხილვის ფარგლებში, ბიუროს დაევალა, განესაზღვრა შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად, რა ვადით და მოცულობით იყო საჭირო პერსონალური მონაცემების შემცველი შეტყობინებების/წინადადებების ვებგვერდზე საჯაროდ განთავსება და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოეხდინა პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების ვებგვერდიდან წაშლა.

მონაცემების ინტერნეტსივრცეში გასაჯაროების კუთხით ასევე აღსანიშნავია ინსპექტორის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ პერსონალური მონაცემების ინტერნეტსივრცეში გასაჯაროებას.

ინსპექტორს განცხადებით მომართა ადვოკატმა, რომელიც მიუთითებდა, რომ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე განთავსებული იყო მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ 2014 და 2015 წლის გადაწყვეტილებები. მოქალაქემ აღნიშნულ გადაწყვეტილებებში თავისი მონაცემების დაფარვის თხოვნით მიმართა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასაც, თუმცა ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პირმა დისციპლინურ სახდელდადებული ადვოკატის სტატუსი შესაძლებელია დაკარგოს სახდელის გაქარწყლებით. კერძოდ, ადვოკატის გაფრთხილება გაქარწყლებულად მიიჩნევა პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 6 თვის შემდეგ. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში, დისციპლინური სახდელი გაქარწყლება წევრად აღდგენიდან 1 წლის შემდეგ. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გაქარწყლების შემდეგაც კი შესაბამისი გადაწყვეტილებები რჩებოდა ასოციაციის ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებული, რაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული. ინსპექტორის გადაწყვეტილებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას დაევალა, შეეფასებინა, თუ რა ვადით და მოცულობით იყო საჭირო შესაბამისი გადაწყვეტილებების ვებგვერდზე განთავსება და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წაეშალა. ინსპექტორის გადაწყვეტილება სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და ინსპექტორის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

ხშირ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების/გასაჯაროების კონკრეტულ ვადას, ხოლო

ორგანიზაციებს არ აქვთ განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების კონკრეტული და მკაფიო მიზანი. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებლები მონაცემთა დამუშავების მიზნის მიღწევის შემდეგ არ შლიან არასაჭირო პერსონალურ მონაცემებს, არ ბლოკავენ მათ ან არ ინახავენ პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემურია ინტერნეტსივრცეში გასაჯაროებული მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ვადები, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მონაცემების გასაჯაროების ყოველი დამატებითი დღე არსებითად ზრდის მონაცემთა სუბიექტის კანონიერი ინტერესებისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს. ამგვარი შემთხვევები უფრო მეტად გამოვლინდა სამართალდამცავ სექტორში, როდესაც საზოგადოების ინფორმირების მიზნით საგამოძიებო ორგანოებმა გაავრცელეს პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია ისე, რომ არ იყო სათანადოდ შეფასებული მათი, როგორც მონაცემთა დამუშავებლების მხრიდან მონაცემთა სუბიექტის ინტერესების დაცვის საკითხი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქის წარმომადგენელმა, რომელმაც მიუთითა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გაავრცელა პირის დაკავების ვიდეოკადრები, რომლითაც შესაძლებელი იყო დაკავებულის პირდაპირი იდენტიფიცირება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა ეს შემთხვევა და არ გაიზიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დასაბუთება, რომ დაკავების კადრების გავრცელება ემსახურებოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, საფრთხის

შემცველი გარემოებებისა და პიროვნებების ვინაობის გასაჯაროების გზით მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა გადაწყვეტილებით განმარტა, რომ აღნიშნულ საქმეზე პირის დაკავებისას მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები უკვე განეიტრალებული იყო და ამ დროისათვის აღარ არსებობდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, საფრთხის შემცველი გარემოებებისა და პიროვნებების გასაჯაროების სახელმწიფო ინტერესი. ამასთან მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტიც, რომ მსგავს შემთხვევებში სამინისტრო, როგორც წესი, დაკავების ვიდეოკადრებს პირთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით ავრცელებდა, რაც აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკაა. წარმოდგენილი და საქმის სხვა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუდგინდა მონაცემების საფუძვლის გარეშე და პრინციპების დარღვევით დამუშავების ფაქტი.

კიდევ ერთი ინსპექტირების ფარგლებში გამოვლინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით გაასაჯაროვა პირის წარსულში რამდენჯერმე ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა შემომნების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნულ პირს წარსულში ჩადენილი დანაშაულების მსჯავრდების ფაქტებზე ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა. შესაბამისად, სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ იყო ნამდვილი და ზუსტი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ნა-

სამართლობაგაქარწყლებული პირი წარმოადგენს ნასამართლობის არმქონე პირს. ამდენად, როდესაც საკითხი ეხება ისეთ სენსიტიური, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის გასაჯაროებას, როგორცაა პირის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, საჯარო უწყება ვალდებულია, კონკრეტული პირის მიმართ დაადგინოს არა მხოლოდ მსჯავრდების, არამედ ნასამართლობის გაქარწყლების საკითხიც და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში განახორციელოს.

საანგარიშო პერიოდში შემონმდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ოფიციალური ვებგვერდის ([www.is.ge](http://www.is.ge)) საშუალებით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება; კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის გამოქვინების (ყალბი ფულის დამზადება-გასაღების გამოქვინებისა და ამ ფაქტზე წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლვეი პირის დაკავების შესახებ ინფორმაცია) და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვადასხვა ფიზიკური პირის მოქალაქეობის, სამუშაო ადგილის, დაკავების, ბრალდებულის სტატუსის, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და სხვა სახის ინფორმაციის გასაჯაროება. აღნიშნული ქმედების

სამართლებრივ საფუძვლად სამინისტრომ მიუთითა დანაშაულის პრევენციის მიზნით საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება საგამოძიებო სამსახურის მიერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატებების თაობაზე, კონკრეტულად, გამოვლენილი და აღკვეთილი დანაშაულების შესახებ; ასევე – „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები, დანაშაულის პრევენცია, მაღალი საჯარო ინტერესის არსებობა და მესამე პირთა ინტერესების დაცვის მიზანი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა გადანწყვეტილებით განმარტა, რომ დანაშაულის პრევენციის მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია საგამოძიებო სამსახურის მიერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული შედეგების თაობაზე, კონკრეტულად, გამოვლენილი და აღკვეთილი დანაშაულების შესახებ. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, თავად დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენი პირების იდენტიფიცირება და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ წარმოადგენდა დანაშაულის პრევენციის აუცილებელ პირობას და მას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა საზოგადოების აზრის ფორმირებაზე, ასევე ვერ უზრუნველყოფდა დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილებასა და მართლწესრიგის დაცვას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის მიზანი ამ შემთხვევა-

ში მიიღწეოდა საგამოძიებო სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე ინფორმაციის ისეთი ფორმით განთავსებითაც, რომლითაც არ იქნებოდა შესაძლებელი მონაცემთა სუბიექტების სრული იდენტიფიცირება.

ადმინისტრაციული სახდელის გარდა, სამინისტროს ასევე დაევალა საგამოძიებო სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული და ინსპექტირების ფარგლებში განხილული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის ნაშლა ან დეპერსონალიზებული ფორმით განთავსება.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების და ასევე სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ მიერ პერსონალური მონაცემების განუსაზღვრელი ვადით გასაჯაროების შემთხვევები. კერძოდ, მოქალაქეთა შეტყობინებებისა და განცხადებების საფუძველზე, ინსპექტორისთვის ცნობილი გახდა, რომ ორგანიზაციების ვებგვერდებზე, შესაბამისი კანონიერი მიზნის გარეშე, ხანგრძლივი ვადით განთავსებული იყო სტუდენტებისა და აბიტურიენტების პერსონალური მონაცემები. კერძოდ, წარსულში ჩატარებული სხვადასხვა გამოცდის შედეგები, სტუდენტების/აბიტურიენტების პერსონალური მონაცემების მითითებით. ინსპექტორის გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ ორგანიზაციებს ჰქონდათ პერსონალური მონაცემების თავდაპირველი გასაჯაროების კანონიერი საფუძველი, მონაცემთა გასაჯაროების კანონიერი მიზნის მიღწევის

შემდგომ, აღარ არსებობდა პერსონალური მონაცემების საჯაროდ განთავსების რაიმე მიზანი და საჭიროება. ამდენად, მონაცემთა დამმუშავებლებს დაევალებათ კანონიერი მიზნის მიღწევის შემდეგ მოეხდინათ გასაჯაროებული პერსონალური მონაცემების ვებგვერდიდან აღება.

**მონაცემთა გასაჯაროების საკითხის შეფასებისთვის აუცილებელია, მონაცემთა დამმუშავებლებმა განსაზღვრონ:**

- კონკრეტული, ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც ემსახურება მონაცემების საჯაროდ გამოქვეყნება;
- რამდენად არის შესაძლებელი ლეგიტიმური მიზნის მიღწევა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გასაჯაროების გარეშე;
- იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად პერსონალური მონაცემების გასაჯაროება, უნდა მოხდეს მიზნის პროპორციული ოდენობით მონაცემების დამუშავება და მიზნის მიღწევის შემდეგ დაუყოვნებლივ წაიშალოს გასაჯაროებული მონაცემები ვებგვერდიდან.

## **ინტერნეტსივრცეში ბავშვებზე ვიდეო-აუდიო ჩანაწერები**

ინტერნეტსივრცეში მონაცემთა ხელმისაწვდომობის პრობლემატიკის განხილვისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სოციალური ქსელებითა და მედიასაშუალებებით პირადი ცხოვრების ამსახველი რამდენიმე ვიდეომასალისა და სატელეფონო საუბრის ჩანაწერების გავრცელების, ასევე პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გამოქვეყნების მუქარის შემაშფოთებელი ფაქტები.

რამდენიმე შემთხვევაში სახელმწიფო უწყებების ძალისხმევით ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნებიდან მალევე შეიზღუდა მასალაზე წვდომა, თუმცა დროის მცირე მონაკვეთიც საკმარისი იყო ვიდეოჩანაწერების გადმოწერისთვის და არსებობდა მათი შემდგომი გავრცელებისა და, შესაბამისად, ჩანაწერში ასახული პირებისა და ოჯახის წევრების ინტერესების შელახვის მაღალი რისკი. წინა წლებისგან განსხვავებით 2016 წელს ტელემედიისა და სოციალური ქსელების მომხმარებლების დიდმა ნაწილმა გამოავლინა მაღალი პასუხისმგებლობა და მასალის შემდგომ ტირაჟირებაც ნაკლებად მოხდა. საზოგადოება ასევე ერთიანი იყო ამ დანაშაულების სწრაფად და ეფექტიანად გამოძიების აუცილებლობის მოთხოვნისას, მათ შორის, ჩანაწერის წარმომავლობისა და ავთენტურობის საკითხების დადგენის კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს გახმაურებული ყველა შემთხვევა შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და, შესაბამისად, სცდებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კომპეტენციას, ინსპექტორმა საჯარო განცხადებების საშუალებით არაერთხელ გაუსვა ხაზი გამოძიებისა და ამგვარი დანაშაულის პრევენციის ეფექტიანი და სწრაფი მექანიზმების აუცილებლობას, ამ მიზნით უცხოელი ექსპერტების ჩართვის საჭიროებას, გამოძიების შედეგების მიმართ არსებულ მაღალ საჯარო ინტერესებს და აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გავრცელების ტენდენციის უარყოფით გავლენას არა მხოლოდ კონკრეტული პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე, არამედ საზოგადოების აღქმასა და დამოკიდებულებაზე.

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთი გაზეთის ინტერნეტგვერდის მეშვეობით გავრცელდა ვიდეომასალა – ე.წ. ციხის კადრები, რომელიც

იძლეოდა პირთა სრულად იდენტიფიცირების საშუალებას, რაც ხელ-  
ყოფდა მათ პატივსა და ღირსებას, ზიანს აყენებდა მათი და ოჯახის  
წევრების ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ინსპექტორის მან-  
დატი არ ვრცელდება საზოგადოების ინფორმირების მიზნით მედია-  
საშუალებების საქმიანობის პროცესზე, ინსპექტორმა თავის საჯარო  
განცხადებაში ხაზი გაუსვა მედიის ვალდებულებას, დაიცვას  
ბალანსი საზოგადოების ინფორმირებასა და მოქალაქეთა პატივისა  
და ღირსების ხელშეუხებლობას შორის, მით უფრო, როდესაც საქმე  
ეხება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის არაერთ მსხვერპლს  
და გავრცელების ფორმა იძლევა მასზე შეუზღუდავი ხელმისაწვდო-  
მობის საშუალებას.

### **არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის მემორაუმის შესახებ მონაცემების დამუშავება**

ბავშვების უფლებების დაცვის განსაკუთრებულად მაღალი სტანდ-  
არტი არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით, არაერთი საერ-  
თაშორისო აქტივაც არის დადგენილი.

მონაცემთა დამუშავებელს განსაკუთრებული ყურადღება და სი-  
ფრთხილე მართებს, როცა საქმე არასრულწლოვანთა განსაკუთრე-  
ბული კატეგორიის მონაცემებს ეხება. საანგარიშო წლის განმავ-  
ლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში  
შემოვიდა რამდენიმე შეტყობინება, რომელიც უკავშირდებოდა სა-  
ჯარო სკოლების მიერ მოსწავლეთა განსაკუთრებული კატეგორიის  
მონაცემების დამუშავებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინ-  
ისტროსგან მიღებული მომართვის საფუძველზე პერ-

სონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატ-  
მა შეისწავლა ერთ-ერთ რეგიონში მოქმედი საჯარო  
სკოლის მიერ ორი მოსწავლის განსაკუთრებული კატ-  
ეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების  
კანონიერება. საქმის გარემოებების შესწავლის შედე-  
გად დადგინდა, რომ მოსწავლეები რამდენიმე წლის  
წინ მკურნალობდნენ ჰაერწვეთოვანი გზით გადამდე-  
ბი ინფექციის დიაგნოზით და მკურნალობის შემდეგ  
მობილობის წესით გადავიდნენ ერთ-ერთი რაიონის  
საჯარო სკოლაში. საგულისხმოა, რომ მათ ჰქონდათ  
დაავადების დახურული ფორმა, რომელიც გარშემო-  
ყოფთათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. სასწავლო  
პროცესში სკოლის დირექციისა და თანაკლასელების  
მშობლებისთვის თავად მოსწავლეებისგან ცნობილი  
გახდა ინფორმაცია მათი ჯანმრთელობის მდგომარეო-  
ბის შესახებ, რასაც მოჰყვა პროტესტი ერთ-ერთი მას-  
წავლებლისა და სხვა მოსწავლეების მშობლების მხრი-  
დან. სკოლის დირექტორი დაუკავშირდა მოსწავლეების  
მშობელს და სთხოვა, ბავშვები გამოჯანმრთელებამდე  
არ მიეყვანა სკოლაში. ერთ-ერთმა მასწავლებელმა დი-  
რექტორისგან გამოითხოვა მოსწავლეების ჯანმრთე-  
ლობის მდგომარეობის შესახებ ცნობები და გავრცელე-  
ბული ინფორმაციის ნამდვილობის გადასამოწმებლად  
წარუდგინა ერთ-ერთი საავადმყოფოს მკურნალ ექიმს.  
საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირე-  
ბით ინფორმირებული არ ყოფილა მოსწავლეების  
მშობელი. ამ ფაქტიდან მოკლე პერიოდში ეს საკითხი  
განიხილეს მშობელთა კრებაზეც. სკოლამ მშობლებს

მიანოდა ინფორმაცია, რომ არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების მიხედვით, მოსწავლეების სასწავლო პროცესში დაშვება შესაძლებელი იყო, რადგან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სხვებისთვის საშიშროებას არ წარმოადგენდა.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სკოლა ვალდებულია, შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე, სკოლის ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე; ამასთან, სკოლის დირექტორი პერსონალურად აგებს პასუხს სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. ამდენად, სკოლის დირექტორის ინტერესი – დაედგინა მოსწავლეთა დაავადების არსებობა, ფორმა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მიღების გზით დაეცვა სკოლაში მყოფ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამავდროულად, წარმოადგენს მის საკანონმდებლო ვალდებულებას და მონაცემთა მოპოვების კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს. თუმცა მონაცემების შემდგომი გავრცელება, კერძოდ, სკოლის მასწავლებლისთვის, კრებაზე სხვა მოსწავლეების მშობლებისა და ექიმისთვის ინფორმაციის მიწოდება, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა მესამე პირებისათვის გამჟღავნებას წარმოადგენს. როცა საქმე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცე-

მებს ეხება, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი დაცვის მაღალ სტანდარტს აწესებს, კერძოდ, მისი მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის გარეშე, დაუშვებელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება. შემონმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას ასეთი თანხმობა არ გააჩნდა. ის ფაქტი, რომ ინფორმაციის ადრესატებისთვის (მაგ. სკოლის მასწავლებლისთვის) ისედაც ცნობილი იყო მოსწავლეების დაავადების შესახებ, არ ათავისუფლებდა სკოლას კანონით გათვალისწინებული ვალდებულებისგან, ამასთანავე, სკოლამ მოსწავლეთა დაავადების შესახებ ინფორმაცია (სრული დიაგნოზი) მასწავლებლის გარდა ოფიციალურად ასევე დაუდასტურა მესამე პირებს.

აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დიდი შეიძლება იყოს სავარაუდო ზიანი პერსონალური მონაცემების დამუშავების წესების დარღვევის შედეგად. ამდენად, მნიშვნელოვანია მაქსიმალური სიფრთხილე ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებისას. ასევე საყურადღებოა, რომ ეს არ არის ერთადერთი ფაქტი, რომელიც სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავებას ეხება; შესაბამისად, მნიშვნელოვანია პრობლემის მიმართ სისტემური მიდგომის შემუშავება, რაც, თავის მხრივ, საჯარო სკოლებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლებასა და მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვისთვის კონკრეტულ ნაბი-

ჯებს მოითხოვს. ამ მიზნით, საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობის ინსპექტორის აპარატმა დაიწყო მუშაობა სპეციალურ რეკომენდაციებზე.

### სასწრაფო ბიუროები

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საინფორმაციო-საცნობარო კომპანიებიდან შეეძლო, მოეპოვებინა ინფორმაცია ნებისმიერი ფიქსირებული სატელეფონო აბონენტის შესახებ. შესაბამისად, აბონენტების პერსონალური მონაცემების დიდი მოცულობით დამუშავებისა და მასთან დაკავშირებული რისკის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში შემონმდა საქართველოში მოქმედი ორი ყველაზე მსხვილი საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების განმახორციელებელი კომპანიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება.

აღნიშნული კომპანიები ფლობენ საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ელექტრონულ ბაზებს, სადაც ინახება ფიქსირებული სატელეფონო ნომრების აბონენტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ფიზიკური პირების სახელსა და გვარს, საცხოვრებელი სახლის მისამართს, ტელეფონის ნომერს. საინფორმაციო-საცნობარო საქმიანობის პროცესში მითითებულ ინფორმაციას კომპანიები მოთხოვნის შემთხვევაში აწვდიდნენ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, აბონენტის ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.


კომპანიების განმარტებით, საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზებში არსებული ფიზიკური პირების

პერსონალური მონაცემების დამუშავება, კერძოდ, შეგროვება, შენახვა და მესამე პირებისთვის გამჟღავნება ხდებოდა მათივე თანხმობით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი თანხმობას განმარტავს, როგორც მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატულ ნებაყოფლობით თანხმობას, რომლითაც შესაძლებელია, ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება. ამდენად, კანონი ადგენს, რომ პირის მიერ მის შესახებ მონაცემების დამუშავებაზე (მათ შორის, გამჟღავნებაზე) თანხმობის აუცილებელი პირობაა, მონაცემთა დამუშავების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღება და განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ნების გამოვლენა. შემონმების ფარგლებში კი, კომპანიებმა ვერ წარმოადგინეს რაიმე ინფორმაცია/დოკუმენტაცია იმის შესახებ, რომ მოპოვებული ჰქონდათ მონაცემთა სუბიექტების თანხმობა კომპანიების მიერ მათი მონაცემების შეგროვების, შენახვისა და შემდგომში დაინტერესებული პირებისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. შემონმების პროცესში, აგრეთვე, დადგინდა, რომ ხორციელდებოდა კომპანიის ოპერატორებსა და მომხმარებლებს შორის მიმდინარე სატელეფონო კომუნიკაციის აუდიოჩანწერა და ამ ჩანაწერებს კომპანიები ინახავდნენ განუსაზღვრელი ვადით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინსპექტორის გადაწყვეტილებით, ორივე კომპანიას დავალა: კუთვნილ საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზებში არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლის განსაზღვრა, მონაცემების დაზუსტება, საჭიროებისამებრ განახლება, კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემების წაშლა და კომპანიის ოპერატორებსა და მომხმარებლებს შორის სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი აუდიოჩანაწერების შენახვის გონივრული ვადის განსაზღვრა, აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ კი, ჩანაწერების წაშლა/განადგურება.

**საცნობარო საქმიანობის მქონე ორგანიზაციებისა და მათზე ინფორმაციის მიმწოდებელი ყველა სუბიექტის, მათ შორის, კომუნიკაციის განმახორციელებელი ყველა ავტორიზებული პირის მხრიდან აუცილებელია, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას გათვალისწინებული იყოს:**

- მონაცემთა დამუშავება, მათ შორის აბონენტის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, მოახდინონ მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების, მათ შორის აბონენტის თანხმობის არსებობისას;
- აბონენტის თანხმობა უნდა იყოს იდენტიფიცირებული პირის მხრიდან თავისუფლად გამოვლენილი ნება და არა პირობა. უარი მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე არ უნდა იწვევდეს კომუნიკაციის მომსახურებაზე შეზღუდვას.



ფარული საბავშვო მოქმედებებსა  
და სამართლებრივი ორგანიზაციის  
მიერ პერსონალურ მონაცემთა  
დაზუსტებაზე ხელახედვილობა

## **ფარულ საგამომძიებო მოქმედებებსა და სამართალდამცავი ორბანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე ზელახედელობა**

ადამიანის უფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაში განსაკუთრებული როლი სამართალდამცავ ორგანოებს აკისრიათ. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადეკვატური რეაგირება მოჰყვება, თუმცა საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში შესწავლილმა საქმეებმა ცხადყო, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ძირითად გამოწვევად კვლავაც მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა და მონაცემთა დამუშავებისათვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა რჩება. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2016 წელს ინსპექტორის მხრიდან დაფიქსირდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი ერთი ფაქტი, რომელიც შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოს.

### **ფარულ საგამომძიებო მოქმედებებზე ზელახედელობა**

საზოგადოებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფარული საგამომძიებო მოქმედებების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და ზედამხედველობის საკითხი. 2015 წლის 31 მარტიდან



ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განესაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-138-ე მუხლებითა და 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობის უფლებამოსილება.


აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ინსპექტორის აპარატში რეგულარულად წარმოებს წარმოდგენილი სასამართლო განჩინებებისა და პროკურორის დადგენილებების როგორც სტატისტიკური, ასევე შინაარსობრივი ანალიზი, ასევე – მონაცემების შედარება უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებთან. ფარული საგამოძიებო მოქმედებებიდან, 2016 წლის მონაცემებით, პრაქტიკაში ყველაზე ხშირად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის დაყენება ხდება. წინა წელთან შედარებით მცირედით არის გაზრდილი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მაჩვენებელი და ყველაზე ნაკლები რაოდენობით განჩინებები კვლავ საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილების კონტროლს ეხება.

ზოგადად, წინა წელთან შედარებით ფარული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობა გაზრდილია, რასაც ცხადყოფს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები. რაც შეეხება სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩანერას, წინა წელთან შედარებით 28 ერთეულით არის გაზრდილი ინსპექტორის აპარატში შემოსული მოსამართლის განჩინებების რაოდენობა, ხოლო ვადის გაგრძელების თაობაზე შუამდგომლობების რაოდენობა 2016 წელს 6-ით ნაკლები იყო, ვიდრე წინა წელს. 2016




წელს ინსპექტორმა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ორეგაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით 47 შემთხვევაში არ გასცა თანხმობა მონაცემთა დამუშავების საფუძვლის კანონიერების შემონგების დროს გამოვლენილი ტექნიკური შეცდომის ან განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არსებული უზუსტობა/ბუნდოვანების გამო. არსებული ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, თანხმობა გაიცა.

საბელჯონო საზბრის მიყურაღბაზბ  
სასამართლო სტატისტიკის 2 წლის მონაცემების შედარება



ვადის გაბრძღების შესახებ სასამართლო  
სტატისტიკის 2 წლის მონაცემების შედარება



საანგარიშო პერიოდში ასევე დასრულდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების კანონიერების შესწავლის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური ნაწილის შემონემა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის საქმიანობა რეგულირდება საიდუმლო და სრულიად საიდუმლო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. შემონეების ფარგლებში გამოიკვეთა სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები, რომლებიც შეეხებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და მონაცემთა ბანკებში აქტივობების განხორციელების პროცედურულ, ტექნიკურ და სამართლებრივ ნაწილებს. ინსპექტორის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მიეცა გარკვეული სახის რეკომენდაცია/დავალებები და მათი შესრულებისთვის განისაზღვრა შესაბამისი ვადა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტმა ინსპექტორის გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა გაცემული რეკომენდაციების/დავალებების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

### **კანონიერ მოწყობა დახვის ინსპექტორისათვის შეწყობინების ვადებზე**

2016 წელს დაფიქსირდა ინსპექტორის შეწყობინების ვადებულების ჯეროვნად შეუსრულებლობის 10 შემთხვევა როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ასევე ელექტრონული კომუნიკ-



აცვის კომპანიების მხრიდან, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით, მიუთითებს დარღვევების კლების ტენდენციაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის 6<sup>2</sup> ნაწილი ითვალისწინებს ვალდებულებას, რომლის თანახმადაც, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის მოტივირებული დადგენილების ერთი ეგზემპლარი მიენოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. აღნიშნული ვალდებულების შესრულების ფაქტებზე საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 9 შემთხვევასთან დაკავშირებით შეამოწმა საქართველოს მთავარი პროკურატურა.

შემონმების შედეგად 6 შემთხვევაში დადგინდა, რომ დადგენილების ერთი ეგზემპლარი არ წარმუდგენიათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის. მიზეზად საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განმარტა, რომ პროკურორის დადგენილების წარმოდგენლობა განპირობებული იყო კონკრეტული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად, დროის უმოკლეს პერიოდში, სისხლის სამართლის საქმეებზე ერთდროულად მრავალი გადაუდებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების დაგეგმვა- განხორციელებით. ინსპექტორმა აღნიშნული განმარტება არ გაითვალისწინა და მიუთითა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება ითვალისწინებს საქართველოს პროკურატურის უპირობო ვალდებულებას, იმპერატიულ დანაწესს, კანონით დადგენილ ვადაში მიაწოდოს ინსპექტორს პროკურორის მიერ გადაუდებელი აუცილებლობით გამოტანილი დადგენილება.



საქართველოს მთავარი პროკურატურის ინსპექტირებიდან 3 შემთხვევა კი შეეხებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის პროკურორის დადგენილების დაგვიანებით წარმოდგენას. შემონმებით დადგინდა, რომ პროკურორმა გამოსცა დადგენილება და მისი ერთი ეგზემპლარი მიანოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფარული საგამოძიებო მოქმედება ფაქტობრივად განხორციელდა და სასამართლომ ის კანონიერად ცნო, კერძოდ, 5 დღის დაგვიანებით. გადაუდებელი აუცილებლობით გამოცემული დადგენილებების 5 დღის დაგვიანებით წარმოდგენა ინსპექტორის აპარატში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის არ იქნა მიჩნეული დაუყოვნებელ მიწოდებად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა საქართველოს მთავარ პროკურატურას ცხრავე შემთხვევაში სამართალდარღვევის ჩადენის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, ვერ დააკისრა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

ინსპექტორისთვის შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულება ასევე ეკისრებათ იმ ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებს, რომლებიც წარმოადგენენ ავტორიზებულ პირებს და მათი საქმიანობის სფერო სატელეფონო ან/და ინტერნეტქსელებით უზრუნველყოფა ან/და მომსახურებაა. მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული კომპანიები ვალდებული არიან, აღრიცხონ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის ფაქტები და სათანადო ინფორმაცია დადგენილ ვადაში მიანოდონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.



საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა შეამოწმა 7 ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია. შემოწმებისას გამოთხოვილ იქნა სამართალდამცავი ორგანოებისათვის სხვადასხვა დროს ელექტრონული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შემცველი ინფორმაციის გადაცემის შესახებ დოკუმენტაცია, რომელთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი ორგანოსთვის დოკუმენტის გადაცემასა და მისი მომზადების დროს შორის ფიქსირდებოდა სხვაობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანიის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე განჩინების მიღებისთანავე ამზადდნენ საპასუხო წერილს, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს პასუხად მომზადებული დოკუმენტი გაჰქონდა გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა განმარტა, რომ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების განუხრელად შესრულება მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანად განხორციელებისთვის და, ამავდროულად, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელ-



შეუხებლობის დაცვის უზრუნველსაყოფად. ამასთან, მიუთითა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაცემად მიიჩნევა ის მომენტი, როდესაც დოკუმენტი ფაქტობრივად ჩაბარდება სამართალდამცავ ორგანოს და ამ უკანასკნელს ამ ინფორმაციის შინაარსზე ექნება წვდომა. შესაბამისად, ინფორმაციის გადაცემის დროდ ჩაითვლება არა ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის მიერ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შემცველი დოკუმენტის მომზადების დრო, არამედ სამართალდამცავი ორგანოსათვის გადაცემის თარიღი.

ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების შემომწვებების შედეგად, მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოვლინდა სამართალდარღვევა, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით ადასტურებს კომუნიკაციის კომპანიების მხრიდან ინსპექტორისთვის შეტყობინების პრაქტიკის გაუმჯობესებას.

**მოქმედი კანონმდებლობით, ინსპექტორისთვის შეტყობინების წარდგენის ვალდებულების ფეროვნად შესრულებისას მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა გაითვალისწინონ:**

- მიზანშეწონილია შიდა პროცედურების შემუშავება, რომელშიც გაწერილი იქნება სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში შესაბამისი ვალდებულებების შესახებ;

- მიზანშეწონილია უწყებების მხრიდან განხორციელდეს საფელდეგერო (საკურიერო) მომსახურებისას შეტყობინების ჩაბარების მონიტორინგი;
- ცალკეულ შემთხვევებში, ტექნიკური, თუ ადამიანური შეცდომის თავიდან არიდების მიზნით, მიზანშეწონილია, შემუშავდეს წარსადგენი შეტყობინებების ელექტრონული ფორმით აღრიცხვიანობა.

## **ვიდეოსათვალთვალო კამერების ჩანაწერების საბაზოძიებო მიზნებისთვის დამუშავება**

2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა სისხლის სამართლის საქმეზე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, სხვადასხვა კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან ვიდეოთვალთვალის სისტემის ჩანაწერების გამოთხოვისა და შემდგომი დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით, განახორციელა საქართველოს მთავარი პროკურატურის 14 ინსპექტირება.

შემონმების შედეგად დადგინდა, რომ მას შემდეგ, რაც პროკურატურამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია მოპოვებული მასალის მტკიცებულების სახით გამოყენება და სასამართლოს მიმართა ვიდეოჩანაწერის კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობის განუხილველად დატოვების მოთხოვნით, ამ დროიდან უკვე აღარ არსებობდა მათ მიერ მოპოვებული პერსონალური მონაცემების შენახვის მიზანი და პროკურატურა ვალდებული იყო, კანონით გათვალისწინებული წესით დაუყოვნებლივ



გაენადგურებინა მოპოვებული მასალა. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მოცემულ საქმეებზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, შემდგომ პერიოდშიც შეინახა პერსონალური მონაცემების შემცველი კომპიუტერული მონაცემები. ინსპექტორმა გადაწყვეტილებით ასევე განმარტა, მონაცემთა დამმუშავებლის, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის თანხმობის გამოხატვის საკითხი და მიუთითა, რომ მონაცემთა დამმუშავებლის თანხმობა არ წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს ვიდეოთვალთვალის სისტემიდან ჩანაწერის გასაცემად. აღნიშნული ჩანაწერების სამართალდამცავი ორგანოსათვის გადაცემის შესახებ თანხმობა უნდა გასცენ მონაცემთა სუბიექტებმაც - „მართალია, მონაცემთა სუბიექტები შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნით ინფორმირებულნი არიან ჩაწერის მიმდინარეობის თაობაზე და გარკვეულწილად აცნობიერებენ მათ შესახებ ჩანაწერების არსებობას, მაგრამ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ პირის გაფრთხილება ამავდროულად არ გულისხმობს მესამე პირებზე ჩანაწერის გადაცემის თაობაზე სუბიექტის ინფორმირებას ან მის თანხმობას ასეთი ქმედების განხორციელებაზე.“

შემომწმების ფარგლებში, 14-დან 13 შემთხვევაში, საქართველოს მთავარი პროკურატურა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და სახდელი დაეკისრა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში ასევე შემონმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, რაც მოიცავდა ქალაქ თბილისში დამონტაჟებული ერთ-ერთი ვიდეოთვალთვალის სისტემის მიერ დაფიქსირებული ვიდეოჩანაწერის გამოთხოვისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნული ვიდეოჩანაწერის გაცემის ფაქტის კანონიერების შემოწმებას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა აღნიშნულ საქმეზე გადამწყვეტილებით დაადგინა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პერსონალური მონაცემების შემცველი კომპიუტერული მონაცემები წერილით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის - მოსამართლის განჩინების/პროკურორის დადგენილების გარეშე დაამუშავა.

ვიდეოსათვალთვალო სისტემებიდან მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ჩანაწერების (კომპიუტერული მონაცემების) ამოღების წესი საკმაოდ მაღალ სტანდარტს ამკვიდრებს. ერთი მხრივ, ვიდეოსათვალთვალო სისტემით მოსარგებლე პირებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში უჩენს იმის განცდას, რომ უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით განთავსებული სისტემებიდან მონაცემების ამოღება მოხდება ერთმნიშვნელოვნად საგამოძიებო მიზნებით, ხოლო მეორე მხრივ, იმ პირთა პერსონალური მონაცემები, რომლებიც არ ექცევიან საგამოძიებო ორგანოების ყურადღების არეალში, მუშავდება მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნით და ამ მონაცემების განადგურება ხდება პრაქტიკულად ავტომატურად - მაშინ, როდესაც ჩანაწერით გადავსებული სისტემა თავიდან ახდენს გადანერას ახალი ჩანაწერებით. 2016 წლის განმავლობაში ინსპექტორის საქმიანობის შედეგად, განსაკუთრებით კონსულტა-



ციების რეჟიმში ბევრი ორგანიზაცია/მენარმე გაეცნო მოქმედი კანონმდებლობის დანაწესებს.

**ვიდეოსათვალთვალო სისტემით მონაცემების დამუშავებისას აუცილებელია:**

- ყველა მონაცემთა დამუშავებელმა მიიღოს აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, იმისათვის, რომ კუთვნილ ვიდეოსათვალთვალო სისტემაში არსებული მონაცემები დაცული იყოს არასანქცირებული წვდომისა და გამჟღავნებისგან;
- ვიდეოსათვალთვალო სისტემაში არსებული მონაცემების სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის გაცნობა და გადაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად;
- ვიდეოსათვალთვალო სისტემით დამუშავებული მონაცემები უნდა წაიშალოს/განადგურდეს მას შემდგომ, რაც ამოიწურება ჩანაწერის შენახვისთვის განსაზღვრული ვადა.

**კომუნიკაციის მაიდენტიფიკაციური მონაცემების დამუშავება**

მოქმედი კანონმდებლობით, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია უნდა აღრიცხოს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე და 136-ე მუხლებით დადგენილი წესებით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის ფაქტები და სათანადო ინფორმაცია უნდა მიიწოდოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.



ელექტრონული კომუნიკაციების მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად დგინდება, რომ საგამოძიებო ორგანოების მიერ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მიზნებისათვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მათგან გამოთხოვის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. მაგალითად, ერთ-ერთი კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს კომპანიამ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე მიიღო 373 (სამას სამოცდაცამეტი) სასამართლო განჩინება, ხოლო 2016 წელს 683 (ექვსას ოთხმოცდასამი) სასამართლო განჩინების საფუძველზე გასცა ინფორმაცია.

კომუნიკაციის კომპანიების მიერ საგამოძიებო მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ხარვეზებისა და დარღვევების მასშტაბი და ხასიათი არსებითად შემცირებულია წინა წელს გამოვლენილ დარღვევებთან შედარებით. ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიები თავადაც უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ და ამონმუშენ ინფორმაციის გაცემის საფუძველს. მაგალითად, ერთ-ერთი კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვასთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოების 300-ზე-მეტი მომართვის წერილზე გაცემულ იქნა უარყოფითი პასუხი და მოთხოვნილ იქნა მოსამართლის განჩინების/პროკურორის დადგენილების წარმოდგენა.

აპარატში შემოსული განცხადებებისა და შეტყობინებების, ასევე თავად ინსპექტორის ინიციატივით განხორციელებული შემონმუშების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ საგამოძიებო მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების



პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ხარვეზებისა და დარღვევების მასშტაბი და ხასიათი არსებითად შემცირებულია წინა წელს გამოვლენილ დარღვევებთან შედარებით.

ერთ-ერთი შემონმების შედეგად დადგინდა, რომ სამართალდამცავ ორგანოს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიამ ინფორმაცია გადასცა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლების გარეშე. მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>მ</sup> მუხლის მე-12 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მოსამართლის განჩინებას დაკარგული ჰქონდა იურიდიული ძალა და აღარ წარმოადგენდა კომპიუტერული მონაცემის გადაცემის სამართლებრივ საფუძველს. ასევე დაფიქსირდა მოსამართლის განჩინებაში მითითებულ ფარგლებთან შედარებით მეტი მოცულობით ინფორმაციის გაცემის ფაქტიც.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტირების ფარგლებში დადგინდა, რომ სამინისტრომ ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიიდან სამართლებრივი საფუძვლების გარეშე გამოითხოვა და მიიღო ინფორმაცია. ხოლო ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიამ, თავის მხრივ, სამართალდამცავ ორგანოს გადასცა მოსამართლის განჩინებაში მითითებულისაგან განსხვავებული IP მისამართის მფლობელი პირის დემოგრაფიული მონაცემები. ამ

განჩინებაში IP მისამართის მითითებისას დაშვებული იყო უზუსტობა, რომლის აღმოფხვრაც არ მომხდარა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

გარდა აღნიშნულისა, ინსპექტორმა საქართველოს მთავარი პროკურატურაც ცნო სამართალდამრღვევად გამოძიების პროცესში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით. ვინაიდან მან პირის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია გამოითხოვა ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიიდან და მიიღო მაშინ, როდესაც სასამართლოს განჩინებას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დაკარგული ჰქონდა იურიდიული ძალა და აღარ წარმოადგენდა კომპიუტერული მონაცემის გადაცემისა და მიღების სამართლებრივ საფუძველს.

ზემოაღნიშნულ შემთხვევათა დაფიქსირების მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აღნიშნული პრობლემების სისტემური გადაჭრის თვალსაზრისით პოზიტიური ტენდენციებიც არსებობს, კერძოდ, 2016 წელს სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებათა მოპოვებისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების ჯეროვნად შესრულების მიზნით საქართველოს პროკურატურამ პროკურორებისა და გამოძიებლებისათვის სპეციალური შიდა რეკომენდაციები შეიმუშავა. არსებობს მოლოდინი, რომ რეკომენდაციების და-



ნერგვის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება გარკვეული ტიპის ხარვეზები. ასევე ხაზგასასმელია, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქართველოს პროკურატურის მიერ 2016 წელს 5 სასწავლო კურსის ორგანიზება, სადაც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ქრილში, სხვა თემებთან ერთად განიხილებოდა პერსონალური მონაცემების დაცვის, სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება/ჩანერის განხორციელების, კომპიუტერული მონაცემების მოპოვების საკითხები. საანგარიშო პერიოდში პოზიტიურად შესაფასებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სტრუქტურული დანაყოფებისთვის მონაცემთა დაცვის მიზნითა და მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ქცევის ინსტრუქციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავება. ასევე, უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში დადებული *მემორანდუმები/შეთანხმებები, რომლებშიც გაიწერა და კანონთან შესაბამისობაში მოვიდა პერსონალური მონაცემების დამუშავების პრაქტიკული ასპექტები.*

**სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მტკიცებულებათა კანონის სრული დაცვით მოპოვებისთვის მიზანშეწონილია:**

- ყველა უწყების მხრიდან შემუშავდეს და დაინერგოს შიდა მოხმარების რეკომენდაციები/პროცედურები, ასევე რეგულარული სწავლება/ტრენინგები უწყების შესაბამისი თანამშრომლებისთვის;
- პერიოდულად განხორციელდეს მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სისტემური/სტატისტიკური ანალიზი, რომლის შედეგადაც მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება იქნება შესაძლებელი.





პირველი

## ვიდეოთვალთვალი

კანონი მკაცრად განსაზღვრავს ვიდეოთვალთვალის გზით მონაცემთა დამუშავების მიზნებს, როგორებიცაა: დანაშაულის თავიდან აცილება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვა, საიდუმლო ინფორმაციის დაცვა.

ვიდეოთვალთვალი უნდა გამოიყენებოდეს, როგორც აუცილებლობა და არა მოქალაქეთა ქცევის კონტროლის დამატებითი მექანიზმი. ამასთან, კანონის თანახმად, ვიდეოთვალთვალის სისტემის განთავსებისას მონაცემთა ყველა დამმუშავებელი ვალდებულია, თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი, რათა ინფორმირების გზით უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებების პატივისცემა და დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ ვიდეოთვალთვალის თემასთან დაკავშირებით ინსპექტორის აპარატმა არაერთი აქტივობა განახორციელა როგორც ცნობიერების ამაღლების, სპეციალური რეკომენდაციების გამოცემის, ასევე მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების (ინსპექტირებების) კუთხით, 2016 წელს კვლავ აქტიური იყო გამაფრთხილებელი ნიშნის გარეშე ვიდეოთვალთვალის განხორციელება, ვიდეოთვალთვალის ნიშნის არსებობა ვიდეოთვალთვალის ფაქტობრივი განხორციელების გარეშე, დასაქმებულთა სამუშაო ადგილის გადაღება მათი ინფორმირების გარეშე და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის სისტემით მეზობლების ბინის შესასვლელის მონიტორინგი, მეზობლების თანხმობის გარეშე.

მოქალაქეთა განცხადებებისა და ინსპექტირების შედეგად წლის განმავლობაში ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით 11 დარღვევა გამოვლინდა, ყველაზე ხშირად მოქალაქეები ინსპექტორს კერძო ორგანიზაციების მიერ ვიდეოთვალთვალის გამაფრთხილებელი ნიშნის გარეშე განხორციელების თაობაზე მიმართავდნენ. ვიდეომონიტორინგის სისტემები განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება მომსახურების ადგილებში (სავაჭრო და კვების ობიექტებში). ვიდეო-აუდიო მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემები კი კანონით გათვალისწინებული მიზნების გარდა, ასევე გამოიყენება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და დასაქმებულთა კონტროლის მიზნითაც.

2016 წლის განმავლობაში განხორციელებული ინსპექტირებებისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც კომპანიას თავის მფლობელობაში არსებულ ქონებაში ჰქონდა დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალ სისტემა ისე, რომ ფაქტობრივად არ ახორციელებდა ვიდეოგადაღებას და ასევე შემთხვევები, როდესაც შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული იყო ვიდეოგადაღების თაობაზე გამაფრთხილებელი ნიშანი, ისე, რომ დამონტაჟებული არ ყოფილა ვიდეოსათვალთვალ სისტემა და, შესაბამისად, არც პერიმეტრის ვიდეოგადაღება მიმდინარეობდა. 2016 წლის განმავლობაში მოქალაქეთა მიმართვის საფუძველზე 2 ასეთი შემთხვევა იქნა შესწავლილი. ერთი ეხებოდა ტანსაცმლის მაღაზიაში გამოსაცვლელ ოთახებში, ხოლო მეორე სავაჭრო ცენტრის საპირფარეშოებში ვიდეოკონტროლის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნების არსებობას. გამომდინარე იქიდან, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ არის აკრძალული ვიდეოთვალთვალის გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის გან-

კუთვნილ ადგილებში, აღნიშნული შეტყობინებების საფუძველზე დაინყო ინსპექტირება. შემონიშნების შედეგად დადგინდა, რომ ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსება ქურდობის სანინალმდებო პრევენციულ ღონისძიებას წარმოადგენდა და ფაქტობრივად მითითებულ სივრცეში ვიდეოთვალთვალი არ ხორციელდებოდა. გამაფრთხილებელი ნიშნის იმ ტერიტორიაზე განთავსებამ, სადაც ვიდეოთვალთვალი რეალურად არ მიმდინარეობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სივრცის სპეციფიკის გათვალისწინებით მოქალაქისთვის ღირსების შემლახველი იქნებოდა მისი ვიდეოგადაღება, შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანოს მონაცემთა სუბიექტი და შეუქმნას მცდარი წარმოდგენა მის შესახებ მონაცემების დამუშავების თაობაზე; სწორედ ამიტომ ორგანიზაციებს მიეცა რეკომენდაცია, მოეხსნათ ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები.

ერთ-ერთი კომპანია ვიდეოთვალთვალს ახორციელებდა სავაჭრო ობიექტის შიდა პერიმეტრზე, ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების გარეშე. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან კომპანია სავაჭრო ობიექტში ეწეოდა კომერციულ საქმიანობას, მათ შორის, ნაღდი ანგარიშსწორების გზით, სავაჭრო ობიექტში ინახებოდა ფულადი თანხა და კომპანიის პროდუქცია, ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზანი იყო კომპანიის საკუთრებისა და თანამშრომლების ფულადი და სხვა ფასეულობათა დაცვა, ასევე სავაჭრო ობიექტში მრავლად მყოფი მომხმარებლებისა და კომპანიის თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ინსპექტორის გადანყვეტილებით, მითითებული მიზნები კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავ და, შესაბამისად, კანონით დასაშვებ მიზნებად ჩაითვალა, თუმცა აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დამატებით დადგენილია ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებული სპეციალური წესები, რაც გულისხმობს ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების ვალდებულებას და რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ვიდეოთვალთვალის ქვეშ ექცევა ან შესაძლოა, მოექცეს სხვადასხვა პირი. ასეთ დროს მონაცემთა დამუშავება არ არის დამოკიდებული მონაცემთა სუბიექტის ნებაზე და სწორედ ამიტომ კანონი ადგენს ამგვარად ამ პირთა ინფორმირების ვალდებულებას, მათი მონაცემების დამუშავების თაობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა უფლებების პატივისცემა და დაცვა. ინსპექტირების პროცესში კომპანიამ გამოასწორა აღნიშნული დარღვევა და თვალსაჩინო ადგილას განათავსა ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი.

### **ფინიქური აირხანის მიერ საქართველოს სასხოვრებელი შენობების ვიდეოთვალთვალის**

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი სხვა საკითხებთან ერთად საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის საკითხსაც არეგულირებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც

საც საკუთრების დაცვის მიზნით მოქალაქეები ახორციელებენ ვიდეოსათვალთვალს კერძო ან მრავალბინიან სახლებში, თუმცა კანონი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მესაკუთრეთა ინტერესის დაცვასა და მეზობლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს შორის ბალანსის დაცვას.

სხვადასხვა ფაქტის შესწავლამ ცხადყო, რომ საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც საკუთრების დაცვის მიზნით დამონტაჟებულმა ვიდეოსათვალთვალთ სისტემამ შესაძლოა, ხელყოს სხვა პირების, მაგალითად, მრავალბინიან სახლებში მეზობლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები. აუცილებელია უფრო მეტი ღონისძიების გატარება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ, ზუსტად მოახდინონ საჭიროებების იდენტიფიცირება და მათ შესაბამისად საკუთრების დაცვის მიზნით სხვადასხვა საშუალების, მათ შორის ვიდეოსათვალთვალთ სისტემის შერჩევა. ნებისმიერ პირს შეუძლია, უზრუნველყოს პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა მინიმალური დანახარჯით, დამატებითი შესაძლებლობების (როგორცაა მაღალი გარჩევადობა, დაკვირვების ობიექტის გადიდების (ე.წ. „Zoom“) ფუნქცია და ა.შ.) მქონე ვიდეოსათვალთვალთ კამერების გარეშე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ასეთ შემთხვევებში მონაცემები მუშავდება უფრო ნაკლები მოცულობით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების რისკს.

2016 წელს შესწავლილ ერთ-ერთ შემთხვევაში ვიდეოსათვალთვალის სისტემა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მეზობლად მდებარე კერძო სახლის მესაკუთრემ იმ არაკეთილსინდისიერი მოზინადრეების იდენტიფიცირების მიზნით დაამონტაჟა, რომლებიც საყოფა-

ცხოვრებო ნარჩენებით ანაგვიანებდნენ მის კუთვნილ ფართს. აღნიშნულ შემთხვევაში, ვინაიდან, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, დადგინდა, რომ გამოსახულება არ იყო ვარგისი პიროვნების იდენტიფიკაციისათვის და ახდენდა მხოლოდ ადამიანის სილუეტის აღქმას კონკრეტულ სართულებზე, ჩაითვლა, რომ პირთა პერსონალური სივრცის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა და შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებისას ვიდეოსათვალთვალო სისტემის მესაკუთრის მხრიდან მონაცემთა სუბიექტების აღმატებული ინტერესი არ იკვეთებოდა.

### საშუალო ადგილზე ვიდეოსათვალთვალი

მოქმედი კანონმდებლობით, არსებობს გარკვეული ობიექტები, რომელთა მესაკუთრეებსაც ევალებათ, კონკრეტული ნორმატიული აქტით განსაზღვრული ტექნიკური მახასიათებლების მქონე ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვონ ობიექტები. ამგვარ ობიექტებს მიეკუთვნება ავტოგასამართი სადგურებიც, რომელთა მიმართაც არსებობს გარკვეული მავალდებულებელი მოთხოვნები ვიდეოსათვალთვალო სისტემების განთავსებასთან დაკავშირებით. 2016 წელს ერთ-ერთი ნავთობპროდუქტების რეალიზატორი კომპანიის შემონმების შედეგად დადგინდა, რომ ავტოგასამართ სადგურებზე ვიდეოსათვალთვალი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების ან უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნისა, ასევე ხორციელდებოდა მომხმარებელთათვის შეთავაზებული სერვისების ხარისხის კონტროლისა და დასაქმებული პირე-

ბისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (ჯარიმის) დაკისრების მიზნებისთვის. ინსპექტორის გადაწყვეტილებით, აღნიშნული სახით მონაცემთა დამუშავება შეფასდა დარღვევით წარმოებულ ვიდეოთვალთვალად, რადგან ყველა მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია, ვიდეოსათვალთვალ სისტემა განათავსოს და გამოიყენოს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში - პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით, რომელთა სხვა საშუალებით მიღწევაც შეუძლებელია. ამასთან, აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევების დროს, შესაბამის კერძო ან საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, ავტოგასამართ სადგურზე დასაქმებული პირები, რომელთა სამუშაო ადგილიც ექცევა ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ, არ იყვნენ ჯეროვნად ინფორმირებულნი, რომ გარდა საკუთრების და უსაფრთხოების დაცვისა, მათი ვიდეოთვალთვალი მიმდინარეობდა ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნითაც.

**ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამოყენებით მონაცემთა დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ:**

- ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამოყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში;
- ვიდეოსათვალთვალო სისტემა უნდა იყოს მისაღწევი მიზნების პროპორციული ტექნიკური მახასიათებლების მქონე;

- მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული ვიდეოსათვალთვალო სისტემის თვალთვალის არეალში მოხვედრილ პირთა უფლებები, როგორც შესაბამისი ნიშნის თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით, ასევე, გარკვეულ შემთხვევებში, მეზობლების სათანადო ინფორმირებითა და მათი მხრიდან სისტემის მონტაჟზე თანხმობის გაცხადებით.



პირდაპირი მარკეტინგი

## პირდაპირი მარკეტინგი

2016 წელს მოქალაქეთა განცხადებების, აპარატის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და კონსულტაციების დიდი ნაწილი კვლავ არასასურველ სარეკლამო შეტყობინებებს შეეხებოდა. წინა წლებისგან განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით აქტიური იყო სატელეფონო ზარების საშუალებით განხორციელებული პირდაპირი მარკეტინგი.

2016 წელს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ პირდაპირი მარკეტინგის წესის დარღვევის შესწავლის მოთხოვნით, ინსპექტორს 48-მა მოქალაქემ მომართა. აქედან, პირდაპირი მარკეტინგის კანონით განსაზღვრული წესების დარღვევის 30 შემთხვევა გამოვლინდა. 27 შემთხვევაში მოხდა ჯარიმის დაკისრება, ხოლო 3 შემთხვევაში სანქცია ვერ შეეფარდა, კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. გამოვლენილი დარღვევების უმეტესობა შეეხებოდა სატელეფონო ზარებისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით განხორციელებულ სარეკლამო შეთავაზებებზე უარის თქმის მექანიზმის არარსებობას ან მათი ხარვეზებით ფუნქციონირებას. კომპანიები, რომლებიც საქონელსა თუ მომსახურებას სატელეფონო ზარების მეშვეობით სთავაზობდნენ მოქალაქეებს, არ აწვდიდნენ ინფორმაციას მისი უფლების შესახებ, რომ შეუძლიათ მოითხოვონ მათი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა. ცალკეულ შემთხვევებში, მოქალაქის მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის შემდგომ მათ კვლავ უკავშირდებოდნენ, მოქალაქეებს არ აწვდიდნენ ინფორმაციას მათი მონაცემების მოპოვების წყაროს შესახებ და ა.შ.



## აირღაირონ მარკეტინგი სახელეფონო ზარების საშუალებით

2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქემ და მიუთითა, რომ ერთ-ერთი კომპანია მის მფლობელობაში არსებულ სატელეფონო ნომერზე პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ახორციელებდა სატელეფონო ზარებს და სთავაზობდა წიგნების შეძენას. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ კომპანიას არაერთხელ მოსთხოვა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, თუმცა უშედეგოდ.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ განმცხადებელმა დამატებით, ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით მოსთხოვა კომპანიას თავისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა. განმცხადებლის მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდგომ კი კომპანია კვლავ დაუკავშირდა სატელეფონო ნომერზე პროდუქციის შეთავაზების მიზნით, რითაც დაარღვია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ვალდებულება.

კომპანიის პოზიციით, ელექტრონული ფოსტის მისამართზე დიდი რაოდენობით შესული შეტყობინებების გამო, დროულად ვერ შეძლო განმცხადებლის მოთხოვნის გაცნობა და ვერ უზრუნველყო განმცხადებლის მონაცემების დამუშავების შეწყვეტა.



არსებული პრაქტიკა ასევე გვიჩვენებს, რომ კომპანიების უმეტესობა მომსახურების/პროდუქციის შეთავაზებისას სატელეფონო საუბრის პროცესში არ ატყობინებენ მოქალაქეებს, რომ მათ აქვთ უფლება, მოითხოვონ თავიანთი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენების შეწყვეტა და ამასთან, არ აფიქსირებენ მოქალაქის მხრიდან ზეპირად გამოხატულ უარს. საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის გადანყვეტილებით, არაერთ კომპანიას დაევალა, სატელეფონო ზარის საშუალებით პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას მოახდინოს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მისი უფლებების თაობაზე.

### **აირღაირო მარკეტინგის განხორციელება კრედიტის გამსახი მორგანიზაციების მიერ**

საანგარიშო პერიოდში განცხადებების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ მოქალაქეები კრედიტის გამცემი ორგანიზაციებისგან (ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ონლაინსესხების კომპანიებისგან) ხშირად იღებდნენ სესხის დამტკიცების შესახებ შეტყობინებებს. ამგვარ შეტყობინებებს მოქალაქეები იღებდნენ ორგანიზაციების ინიციატივით, იმ პირობებში, როდესაც კონკრეტული სესხის მიღების მოთხოვნით მოქალაქეებს მათთვის არ მიუმართავთ. სესხის დამტკიცების შესახებ გაგზავნილი შეტყობინებები კი არ შეიცავდა მათ შემდგომ მიღებაზე უარის თქმის მექანიზმს.

2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქემ და მოითხოვა ერთ-ერთი ბანკის მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მისი მონაცემების გამოყენების წესის დარღვევაზე რეაგირება. განცხადების



განხილვის ფარგლებში ბანკის მიერ წარმოდგენილი პოზიციით, სესხის დამტკიცების შესახებ შეტყობინებებში უარის თქმის მექანიზმის არსებობა არ იყო სავალდებულო, ვინაიდან ბანკი შეტყობინებებს უგზავნიდა თავის მომხმარებელს, რომელსაც შესაბამისი ხელშეკრულებით თანხმობა ჰქონდა გაცხადებული ბანკისგან შეტყობინებების მიღებაზე. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომერციული ბანკი წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც ეწევა ფინანსურ მომსახურებას, ხოლო კომერციული ბანკებისთვის ნებადართულ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება. ინსპექტორის გადანყვეტილებით, სესხის შეთავაზება მიჩნეულ იქნა პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებად, ვინაიდან კანონის თანახმად, პირდაპირი მარკეტინგი ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზებას წარმოადგენს. შესაბამისად, ამგვარ შეტყობინებებზე ვრცელდებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილი წესები.

ინსპექტორის გადანყვეტილების თანახმად, საბანკო მომსახურების ხელშეკრულებით ვერ განისაზღვრებოდა კანონისმიერი ვალდებულებისგან განსხვავებული წესი. მიუხედავად სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში გაცხადებული თანხმობისა, მონაცემთა



სუბიექტს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს განეცხადებინა უარი თავისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე. ამდენად, ბანკს უნდა ემოქმედა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით და შეტყობინებაში მიეთითებინა ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის უფლების შესახებ და ასევე, მომავალში ამგვარი შეტყობინებების მიღებაზე უარის თქმის მექანიზმი. ინსპექტორის გადანყვეტილება ბანკის სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ სრულად გაიზიარა სასამართლომ.

აღსანიშნავია, რომ ინსპექტორის გადანყვეტილების შემდგომ ბანკმა სესხის გაცემის შეთავაზების შესახებ შეტყობინებებში მიუთითა უარის თქმის მექანიზმი, რითაც მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა, მიუთითებულ ტექსტი გაგზავნოს კონკრეტულ ნომერზე და ამგვარად განაცხადოს უარი თავისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ უარის თქმის მექანიზმი არაერთმა მარკეტინგის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ დანერგა და ინსპექტორის აპარატი მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირების გარდა პროაქტიულ რეჟიმში მუშაობს კომპანიებთან არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე, პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებელი კომპანიებისა და სარეკლამო შეთავაზებების სიმრავლის გათვალისწინებით, მოქალაქეებს ინდივიდუალურ რეჟიმში უწევთ უარის გამოხატვა, რაც არა მხოლოდ დისკომფორტს უქმნის მათ, არამედ დროსა და დანახარჯსაც მოითხოვს. სწორედ ამიტომ



ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე დამატებითი მექანიზმის შექმნა, რაც მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს, თავად განსაზღვრონ, ვისგან, რა დროს და რა საშუალებებით მიიღებენ სარეკლამო სახის შეტყობინებებს.

### საინფორმაციო შინაარსის შეტყობინებების გამგავნა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს არაერთმა მოქალაქემ მიმართა წინასაარჩევნო პერიოდში, კერძოდ, 2016 წლის 19 სექტემბრიდან მუნიციპალიტეტებისა და სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის სახელით მიღებული მოკლე ტექსტური შეტყობინებების თაობაზე.

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ფიჭური სატელეფონო მომსახურების ფარგლებში ერთ-ერთ მობილური ოპერატორი, ნებისმიერ პირს აძლევდა შესაძლებლობას, ესარგებლათ Bulk SMS (ჯგუფური) მომსახურებით. აღნიშნული მომსახურების ფარგლებში შემკვეთ პირებს ეძლევათ საშუალება, კორპორაციული სმს პორტალის მეშვეობით გაგზავნონ მოკლე ტექსტური შეტყობინებები, როგორც მათ მიერ მოძიებულ და ფორმირებულ მონაცემთა ბაზებზე, ასევე ზემოაღნიშნული მობილური ოპერატორის არაიდენტიფიცირებულ მონაცემთა ბაზებზე, შესაბამისი სეგმენტების მიხედვით.

2016 წელს ინსპექტორმა შეისწავლა აღნიშნული პორტალის მეშვეობით სმს-ების გაგზავნის კანონიერე-



ბა. შემონმების შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტებსა და საარჩევნო სუბიექტებს მობილურ ოპერატორთან გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად, მობილური ოპერატორის ვალდებულებას წარმოადგენდა, სპეციალური სმს პორტალისა და საკუთარი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის გამოყენებით, სხვადასხვა აბონენტისთვის გაეგზავნა დამკვეთის მიერ ინიცირებული მოკლე ტექსტური შეტყობინებები. საგულისხმოა, რომ მუნიციპალიტეტები და საარჩევნო სუბიექტები არ აგროვებდნენ-ამუშავებდნენ აბონენტების მონაცემებს. ამასთან, მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის მიზანს რეგიონში შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ მოქალაქეების ინფორმირება წარმოადგენდა. გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები კი შეიცავდა მათ შემდგომ მიღებაზე უარის თქმის (SMS OFF) მექანიზმს. რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტებს, მათი სახელით გაგზავნილ სმს-ებში ტექსტები ეხებოდა საარჩევნო პერიოდში კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერისკენ მოწოდებას.

ვინაიდან მუნიციპალიტეტები და საარჩევნო სუბიექტები თავად არ ამუშავებდნენ აბონენტების მონაცემებს, ხოლო მოკლე ტექსტური შეტყობინებები იგზავნებოდა სმს პორტალის მეშვეობით, არაიდენტიფიცირებულ მონაცემთა ბაზებზე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა არ დადგინდა.



მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი სერვისის გამოყენებისას ნებისმიერმა დამკვეთმა ორგანიზაციამ თუ პირმა მაქსიმალური სიზუსტით მოახდინონ არა მხოლოდ მიზნის, არამედ სეგმენტის (აბონენტების შერჩევის კრიტერიუმების) განსაზღვრა. ამასთან, მიზანშეწონილია, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებების მიმღებ პირებს (იმგვარად, რომ მათი პერსონალური მონაცემები არ იყოს ხელმისაწვდომი სმს პორტალით მოსარგებლე ორგანიზაციისთვის) წინასწარ ჰქონდეთ არჩევანის შესაძლებლობა, სურთ თუ არა, მიიღონ მსგავსი შინაარსის შეტყობინებები და დადებით შემთხვევაში, რა სახის ინფორმაცია და ვისგან.

**პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებელმა ყველა პირმა უნდა გაითვალისწინოს:**

- ყოველი სარეკლამო შეთავაზების დროს (მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ხდება შეთავაზება) უნდა მოხდეს ადრესატის ინფორმირება, მის მიმართ მარკეტინგის შეწყვეტის უფლებასთან დაკავშირებით;
- აბონენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, უარი განაცხადოს პირდაპირ მარკეტინგზე იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხდება შეთავაზება ან/და სხვა მარტივად ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალებით.





# მონაცემთა სუბიექტის უფლებები

## მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ინფორმირებულობა

საქართველოს კონსტიტუცია მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციასა და დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21ე მუხლით გარანტირებულია მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება. მოქალაქეს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელ საჯარო და კერძო ორგანიზაციას მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამმუშავების თაობაზე, ხოლო მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, მიანოდოს ინფორმაცია მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს ინფორმაციის მოძიებას, მნიშვნელოვანი მოცულობის დოკუმენტების დამმუშავებას ან სხვა დაწესებულებასთან კონსულტაციას. მოქალაქეს ასევე აქვს უფლება, მოითხოვოს მის შესახებ არასრული, არაზუსტი, მოძველებული ან კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებული მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება და ორგანიზაცია ვალდებულია, 15 დღის ვადაში უზრუნველყოს აღნიშნული მოქმედების შესრულება ან მონაცემთა სუბიექტს აცნობოს უარის თქმის საფუძველი.

2016 წელს ინსპექტორის აპარატმა განიხილა 17 მოქალაქის განცხადება, რომელიც მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვების

კანონიერებას, ასევე კანონით დადგენილ ვადაში და მოთხოვნილი ფორმით ინფორმაციის მიუწოდებლობას ეხებოდა. გამოვლინდა მოქალაქეთა ინფორმირების წესის დარღვევის 11 ფაქტი. განცხადებების უმრავლესობა კერძო ორგანიზაციების მხრიდან მათი ინფორმირების წესის დარღვევას ეხებოდა, თუმცა ერთ-ერთი განცხადებაში საუბარი იყო საჯარო დაწესებულებაზეც.

ინსპექტორს განცხადებით მომართა ყოფილმა მსჯავრდებულმა, რომელმაც მიუთითა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ არა მხოლოდ მისი პერსონალური მონაცემები დაამუშავა უკანონოდ, არამედ მისი ინფორმირების წესებიც დაარღვია. განცხადების განხილვის ფარგლებში, მონაცემთა დამუშავების ნაწილში დადგინდა, რომ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდა კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა გამოვლინდა მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესის დარღვევა, კერძოდ, ინფორმაციის მინოდება მოხდა კანონმდებლობით დადგენილი ათდღიანი ვადის დარღვევით.

ინსპექტორს ასევე მომართა მოქალაქემ, რომელიც მოითხოვდა ერთ-ერთი კომერციული ბანკის მიერ განმცხადებლის მონაცემების სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში ასახვის კანონიერების შესწავლას და ბანკის მიერ განმცხადებლის ინფორმირების წესების დარღვევაზე რეაგირებას. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ბანკთან გაფორმებული ცალკეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულება

შეასრულა დროულად და ჯეროვნად, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ბანკმა დროულად არ ასახა მონაცემთა ბაზაში და კვლავ ფიქსირდებოდა მისი, როგორც დავალიანების მქონე პირის სტატუსი. ბანკმა არ უზრუნველყო განმცხადებლის სათანადო ინფორმირება, რითაც დაირღვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესი.

კანონმდებლობა მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, თავად განსაზღვროს ინფორმაციის მიწოდების ფორმა, მათ შორის ზეპირი და ელექტრონული, თუმცა პრაქტიკაში ვლინდება შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციები არ ახდენენ სათანადო რეაგირებას ზეპირი ან ელექტრონული ფორმით მიღებულ მოთხოვნებზე.

ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინებით კომპანიას მოსთხოვა ინფორმაცია მისი მონაცემების შეგროვების წყაროს შესახებ. კომპანიამ საპასუხო წერილი გაგზავნა მოთხოვნიდან ორი თვის შემდგომ, მას შემდეგ, რაც ინსპექტორმა მოქალაქის განცხადების საფუძველზე დაიწყო გარემოებების შესწავლა. კომპანიამ დაადასტურა ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების მიღების ფაქტი, თუმცა მიუთითა, რომ არ გასცნობია მის შინაარსს.

განცხადების განხილვის ფარგლებში გამოიკვია, რომ ელ. ფოსტის მისამართი, რომელზეც მონაცემთა სუბიექტმა გამოგზავნა შეტყობინება, ნარმოადგენდა კომპანიის ოფიციალურ საკონტაქტო მონაცემს, ამასთან, კომპანიას ჰყავდა ელ. ფოსტის შემონმებაზე უფლებამოსილი პირიც. მოქალაქის უფლების რეალიზების დამაბრკოლებელი გარემოება არ უნდა იყოს არც კომპანიის კონკრეტული თანამშრომლის უყურადღებობა და არც ტექნიკური ხარვეზი, კანონის თანახმად, განმცხადებელს მისი მონაცემების მოპოვების წყაროს შესახებ ინფორმაცია უნდა გადასცემოდა მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებულობა აქტუალურია ინტერნეტსივრცეში არსებული საფრთხეების კუთხითაც. პერსონალურ მონაცემთა უკანონო მოპოვებისა და კომპიუტერულ სისტემებზე შეტევის განხორციელებული შემთხვევები, მომხმარებლისთვის საეჭვო ონლაინსერვისების შეთავაზება, თაღლითური სქემები, ე.წ. ფიშინგი და ა.შ. სულ უფრო აქტუალური ხდება როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. ხშირად ამ ტიპის დანაშაულის განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობა პოტენციური მსხვერპლის არაინფორმირებულობაა რისკისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ამ მიმართულებით განახორციელა არაერთი აქტივობა, რომლებსაც საფრთხეების აღკვეთის, პრევენციისა და მოქალაქეების ინფორმირების კუთხით კონკრეტული შედეგები მოჰყვა.

ონლაინსესხების გამცემი ერთ-ერთი კომპანია მომხმარებელს ერთი შეხედვით მარტივ სერვისს სთავაზობდა: შეეყვანათ საკუთარი ინტერნეტბანკის მომხმარებლის სახელი და პაროლი კომპანიის ვებგვერდზე განთავსებულ სპეციალურ ველებში და რამდენიმე წუთში მიეღოთ პასუხი სესხის დამტკიცების თაობაზე. ქართული კომპანიის ვებგვერდზე განთავსებული ეს სერვისი საზღვარგარეთ რეგისტრირებული ორგანიზაციის საკუთრება აღმოჩნდა. სახელისა და ინტერნეტბანკის მონაცემების გამოყენებით, ის მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს ამზადებდა და ონლაინსესხების გამცემ კომპანიას უგზავნიდა. აღნიშნულმა ფაქტმა მომხმარებელთა მონაცემებთან უკანონო წვდომის რისკის გამო საბანკო სექტორის შუშფოთება გამოიწვია.

ინსპექტორმა მიიჩნია, რომ პირის იდენტიფიკაციის მიზნით მონაცემთა ამ მოცულობით დამუშავება იყო არაპროპორციულად დიდი, კომპანიის ხელში ინტერნეტბანკის მომხმარებლის სახელისა და პაროლის ჩავარდნა კი პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ რისკებს შეიცავდა. ონლაინსესხების კომპანიას ამ სერვისის გაუქმება დაევალა და მას დღეს ორგანიზაციები აღარ იყენებენ.

2016 წელს ინტერნეტსივრცეში 2 საექვო ვებგვერდი გამოჩნდა. ერთი მათგანი მომხმარებელს ე.წ. შავ სიაში მათი მონაცემების გადამოწმებას, მეორე კი საბანკო ბარათის უსაფრთხოების დადგენას სთავაზობდა.

ამისთვის ვებგვერდები მომხმარებლისგან მათი საბანკო მონაცემების, კერძოდ კი ბარათის ნომრის, მოქმედების ვადისა და CVC კოდის სპეციალურ ველებში შეყვანას მოითხოვდნენ. ვებგვერდები არ იყო რეგისტრირებული საქართველოში, რაც ართულებდა მათ უკან მდგომი პირების იდენტიფიცირებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით ამ თემაზე რამდენიმე გამაფრთხილებელი განცხადება გაავრცელა. საკითხის შესწავლა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტრომაც. შედეგად, ვებგვერდებიდან მალევე გაქრა საექვო სერვისი, რომელიც მოქალაქეების საბანკო მონაცემებს აგროვებდა.

2016 წელს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ არაერთი საექვო აპლიკაცია გავრცელდა. ისინი მომხმარებელს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის სანაცვლოდ სხვადასხვა სახის მომსახურებას, მათ შორის, მათი „ფეისბუქის“ პროფილის ვიზიტორების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სთავაზობდნენ. ე.წ. ფიშინგის მაღალი საფრთხის გამო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა ინტერნეტმომხმარებელს სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდა, რამაც საზოგადოებისა და მედიის ფართო ინტერესი გამოიწვია. შედეგად, კონსულტაციისა და საკუთარი ინტერნეტუსაფრთხოების დაცვის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით ინსპექტორის აპარატს არაერთი მოქალაქე დაუკავშირდა.



ინსპექტორის მოწოდება  
სამართლებრივობით ვრცელსა,  
ცნობიერების ამაღლება,  
სამართლებრივ და  
სხვა საქმიანობა

# ინსაქტორის მონაწილეობა სამართალდამოქმედებით პროცესში. სამანქანათმშენებლო და სხვა საქმიანობა

## სამართალდამოქმედებით პროცესში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მათივე მომართვის საფუძველზე, არაერთ უწყებას მიენოდა მოსაზრებები და რეკომენდაციები საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების პროექტების შესახებ. მათ შორის:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 - რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანების პროექტის თაობაზე. ელექტრონული რეცეპტის ფორმა შეიცავს პირის შესახებ პერსონალურ მონაცემებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მასში მითითებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მიღებაც; ამდენად, მნიშვნელოვანი იყო, რომ მონაცემთა დამუშავების წესები ბრძანების პროექტით ყოფილიყო მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრული. სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, დაეხვენა შესაბამის ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილ პირთა რეგისტრაციის წესი, დაეკონკრეტებინა დასამუშავებელი მონაცემების მოცულობა, სისტემიდან წაეშალა/დაეარქივებინა გაუქმებული რეცეპტები, მოეხდინა მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვა



(ე.წ. ლოგირება), მიეღო სათანადო ინფორმაციული უსაფრთხოების ზომები, ასევე, შეექმნა ე.წ. „პაციენტის გვერდი“, საიდანაც მოქალაქეები შეძლებდნენ, გადაემონებინათ მათ მონაცემებზე წვდომის ფაქტები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თხოვნით შესწავლილ იქნა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და თანმდევი კანონპროექტები. სამინისტროს მიენოდა მოსაზრებები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების, აუდიოჩანერის, მონაცემთა შენახვის ვადების რეგულირებასთან დაკავშირებით.

ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაენია კონსულტაცია „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით; სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს - საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით; საქართველოს სახალხო დამცველს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლი-



ლების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტებთან და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები მიეცათ საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს - „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წესის შესახებ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს - დნმ მონაცემების რეგულირების საკითხთან დაკავშირებით; ქალაქ თბილისის მერიას - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ელექტრონული მონყობილობის მეშვეობით ვიდეომონიტორინგის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, დამუშავების, წაშლისა და განადგურების ინსტრუქციის“ თაობაზე; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას - „საჯარო სივრცეში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით ვიდეომეთვალყურეობის კამერების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესახებ; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორიდან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებისათვის ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან დაკავშირებული სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის მინოდების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების ერთობლივი ბრძანების პროექტთან დაკავშირებით.



ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, დაიხვენა სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პროცესები; დაზუსტდა აღნიშნული აქტებით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების მიზნები; შემოღებულ იქნა მონაცემთა უსაფრთხოების გარანტიები, ზოგიერთ შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირების გამო, მიზანშეწონილად აღარ იქნა მიჩნეული მონაცემთა კონკრეტული ფორმით დამუშავება.

მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რეგულირების შემოღების ან/და განახლების დროს, მისი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან ტექნიკური თუ შინაარსობრივი შესაბამისობის თვალსაზრისით, აუცილებელია კანონშემოქმედებით პროცესში ინსპექტორის ჩართულობა. განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, სადაც მონაცემთა დამუშავება განსაკუთრებული სიფრთხილის საგანი უნდა იყოს, მაგალითად: ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, ფინანსური საქმიანობები. სამართალშემოქმედებითი პროცესის სანყის ეტაპზევე მონაცემთა დამუშავების პრინციპების გათვალისწინება საქართველოს კანონმდებლობაში მონაცემთა დამუშავების მაღალი სტანდარტების განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

## **მონაცემთა სხვა სახელმწიფოში გადასვლა**

პერსონალური მონაცემების სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაცემა დასაშვებია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებით და ასევე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში. საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა შეის-



წავლა არაერთი საერთაშორისო შეთანხმებისა თუ ხელშეკრულების პროექტი. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამის უწყებებს მიეცათ რეკომენდაციები და მოსაზრებები დოკუმენტებში სათანადო პირობების გათვალისწინების შესახებ.

2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში, კანონით დადგენილი წესით მონაცემების სხვა სახელმწიფოში გადაცემის ნებართვის გაცემის მიზნით შემოვიდა 6 განაცხადი. განცხადებები ძირითადად შეეხებოდა ორგანიზაციების მიერ მომხმარებლისა და თანამშრომლების პერსონალური მონაცემების საზღვარგარეთ გადაცემის საკითხს. წარმოდგენილი განაცხადებიდან მხოლოდ ორ შემთხვევაში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ მოთხოვნა და ნებართვა გაიცა ცალკეული კატეგორიის მონაცემების გადაცემაზე.

ინსპექტორისთვის წარმოდგენილი განაცხადით, ერთ-ერთი ორგანიზაცია მოითხოვდა ნებართვას, რათა მასთან დასაქმებული პირებისა და დასაქმების კანდიდატების მონაცემები გადაეცა თურქეთის რესპუბლიკაში მისი დამფუძნებელი ორგანიზაციისათვის. განაცხადის თანახმად, კანდიდატის დასაქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა ერთობლივად, როგორც მონაცემთა გადამცემი, ასევე დამფუძნებელი (მონაცემთა მიმღები) ორგანიზაციების მიერ. შესაბამისად, საჭირო იყო დასაქმების კანდიდატების შესახებ მონაცემების გადაცემა. რაც შეეხება ორგანიზაციაში დასაქმებული პირების შესახებ მონაცემთა გადაცემას, ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში მონაცემების ასახვის გზით, ისინი ავტომატურად ხელმისაწვდომი გახდებოდა დამფუძნებელი ორგანი-



ზაციისათვის. ორგანიზაცია გეგმავდა, გადაეცა სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია ქორწინების თარიღის, მშობლიური და უცხო ენების ფლობის, სამუშაო გამოცდილებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე სახეზე იყო მონაცემთა უსაფრთხოების სათანადო გარანტიები და თანხმობა, ორგანიზაციამ ვერ დაასაბუთა, თუ რა კანონიერ და მკაფიო მიზანს ემსახურებოდა ზოგიერთი მონაცემის (მაგალითად, დასაქმებულის ჯანმრთელობის, ოჯახური მდგომარეობის, დაქორწინების თარიღის შესახებ მონაცემის) გადაცემა. შესაბამისად, წარმოდგენილი განაცხადი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ორგანიზაციას მიეცა ნებართვა მხოლოდ კონკრეტული კატეგორიის მონაცემების გადაცემაზე.

რამდენიმე შემთხვევაში ორგანიზაციებს უარი ეთქვათ პერსონალური მონაცემების გადაცემაზე, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავდა მონაცემთა გადაცემისას მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციას. რიგ შემთხვევებში კი, მონაცემთა საზღვარგარეთ გადაცემის მიზანშეწონილობის შესაფასებლად სათანადო ინფორმაცია და დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი.

### **სამანქანათმშენებლო საკმინო და სწავლების აპარატურა**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატურა არსებობის სამი წლის განმავლობაში უკვე მოიპოვა მოქალაქეებისა და



პარტნიორების ნდობა და გარკვეული ცნობადობა საზოგადოებაში. ახალი სამწლიანი ციკლის დაწყებისას კი მიზნად საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურება დაისახა. 2017-2021 წლების ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიაში, რომელიც ინსპექტორის აპარატმა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შეიმუშავა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ორგანიზაციის 4 სტრატეგიული მიზანს შორის არის დასახელებული, საზოგადოებაში პირადი ცხოვრების პატივისცემის კულტურის დამკვიდრება კი აპარატის მისიის შემადგენელი ნაწილია.

პერსონალური მონაცემების, მათი დაცვის საშუალებებისა და მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი პროექტი, ღონისძიება და აქტივობა, კომუნიკაციის განსხვავებული, მრავალფეროვანი და თანამედროვე არხების, ციფრული და ინტერაქტიული ფორმების, ტრადიციული და ახალი მედიის, მულტიმედია პლატფორმების, საგანმანათლებლო საქმიანობის გამოყენებით.

ცნობიერების ამაღლების კამპანიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პერსონალური მონაცემების დაცვის თემით სტუდენტებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების დაინტერესებას. 2016 წელს ინსპექტორის აპარატის მიერ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სისტემატურად ტარდებოდა საჯარო ლექციები, რომლებმაც 350-ზე მეტი სტუდენტი მოიცვა.

პერსონალური მონაცემების დაცვის, როგორც სასწავლო დისციპლინის დამკვიდრების წახალისების მიზნით გაიმართა საკვირაო სემინარები ლექტორებისა და აკადემიური პერსონალისთვის გაეროსა



და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის - „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ ფარგლებში. საკვირაო სემინარებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 50-მა პროფესორ-მასწავლებელმა.

სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში გაიმართა „პერსონალური მონაცემების დაცვის საათი,“ რომელიც მოიცავდა საჯარო ლექციას, დისკუსიას, ვიქტორინას, საინფორმაციო პოსტერების გამოფენასა და ფოტოგადაღებას. რუსთავის, თბილისის, ქუთაისის, გორის, თელავისა და ბათუმის მომსახურების სააგენტოებში მოქალაქეებს დაურიგდათ საინფორმაციო მასალა.

კანონმდებლობის პრაქტიკაში დანერგვისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრების მიზნით, 2016 წლის განმავლობაში ინსპექტორის აპარატმა გამართა 31 ტრენინგი 800-ზე მეტი საჯარო და კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობით. ტრენინგი ჩაუტარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ქ. თბილისის მერიის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და სხვა უწყებების თანამშრომლებს, სასამართლო მოხელეებს, თბილისის ბაგა-ბაღების დირექტორებს და სხვა. გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ოფისში ყოველთვიურად იმართებოდა ტრენინგები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, დაინტერესებული მოქალაქეებისთვის.

2016 წელს ინსპექტორის აპარატისთვის კვლავაც პრიორიტეტული იყო მედიის წარმომადგენელთათვის პერსონალური მონაცემე-



ბის თემასა და ინსპექტორის აპარატის საქმიანობაზე ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. ამჯერად აქცენტი გაკეთდა რეგიონულ მედიასაშუალებებზე. ტრენინგი ჩაუტარდა რეგიონული მედიასაშუალებების 30 ჟურნალისტს.

ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით დაიწყო მუშაობა მედიისთვის სახელმძღვანელო, სარეკომენდაციო პრინციპების შემუშავებაზე, რომელთა მთავარი მიზანი მოქალაქეთა პირადი ცხოვრების გაშუქებისას ბალანსის დაცვის ნახალისებაა. სახელმძღვანელოს შემუშავებაში ჩაერთნენ ევროპის საბჭოს ექსპერტები და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები.

ინსპექტორის აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობდა სასამართლოსთან; აპარატსა და იუსტიციის უმაღლეს სკოლას შორის გაფორმდა მემორანდუმი და დაიწყო მუშაობა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ სასწავლო პროგრამის შექმნაზე. აპარატი ასევე ჩართული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჯაროების ერთიანი სტანდარტის შემუშავებას ისახავდა მიზნად.

პირისპირ შეხვედრებსა და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ინსპექტორის აპარატმა 2016 წელს აქტიურად გამოიყენა ტრადიციული და ახალი მედია, კომუნიკაციის მულტიმედია ფორმები. ვებგვერდს დაემატა რუბრიკა - „ეს საინტერესოა“, სადაც განთავსდა მოქალაქეებისთვის გასაგები და მარტივი მულტიმედია მასალები პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობაზე. გააქტიურდა ფეისბუქის გვერდი, რომლის მომწონებელთა რაოდენობა 2015 წელთან შედარებით 30%-



ით გაიზარდა, საერთო წვდომამ კი ნახევარ მილიონს გადააჭარბა. ფეისბუქის გვერდი აქტიურად გამოიყენებოდა მოქალაქეებისთვის კონსულტაციების გასაცემად. საანგარიშო პერიოდში მისი საშუალებით 1000-ზე მეტი კონსულტაცია გაიცა.

აპარატის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ინსპექტორის აპარატი ვებგვერდზე რეგულარულად ავრცელებდა ინფორმაციას მიმდინარე სიახლეების შესახებ; ყოველთვიურად აქვეყნებდა სტატისტიკას. 2016 წლის ბოლოს მომზადდა და სოციალური ქსელებით გავრცელდა წლიური სტატისტიკის შემაჯამებელი ვიდეორგოლიც. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საქმიანობა არაერთხელ გაშუქდა ტელე, ინტერნეტ და ბეჭდურ მედიაში. „რადიო ქალაქის“ ეთერში სექტემბრიდან იანვრის ჩათვლით გადაიცემოდა ყოველკვირეული რუბრიკა, პერსონალური მონაცემების დაცვაზე.

2016 წელს ინსპექტორის აპარატი კვლავ აქტიურად გამოსცემდა სექტორულ და თემატურ რეკომენდაციებსა და რჩევებს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. 2016 წელს აპარატმა მოამზადა და გაავრცელა რეკომენდაციები სკოლებისა და მშობლებისთვის მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის, ონლაინშესყიდვების უსაფრთხოების, ჯანდაცვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, თაღლითური აპლიკაციებისგან თავდაცვის შესახებ. მომზადდა ვიდეორგოლები წინასაარჩევნოდ პირადი მონაცემების შეგროვებასა და პირდაპირ მარკეტინგთან დაკავშირებით. შეიქმნა ინტერაქტიული ტესტი ინტერნეტუსაფრთხოების ინდექსის გამოსათვლელად.



სატესტო რეჟიმში მუშაობს მობილური აპლიკაცია inspect2, რომლის დახმარებითაც მოქალაქეებს ინსპექტორისთვის დარღვევის შესახებ შეტყობინება საკუთარი მობილური ტელეფონის დახმარებით, მარტივად და სწრაფად შეუძლიათ.

2016 წლის განმავლობაში აპარატი აქტიურად მონაწილეობდა საჯარო თუ კერძო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა მონაწილეობა მიიღო თბილისის ინტერნეტფორუმში, დისკუსიის ფარგლებში - „ინტერნეტი და პერსონალური მონაცემების დაცვა,“ ინსპექტორის მოადგილე კი ჩაერთო ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ორგანიზებულ მედიატრენინგში. აპარატის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ იურიდიული კომპანია „მაგლობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგურის“ მიერ გამართულ კონფერენციაში, პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე.

2016 წლის 7 ივლისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით გამართა მრგვალი მაგიდა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. შეხვედრაზე მოხდა ინსპექტორის აპარატის სამწლიანი საქმიანობის შეჯამება და სამომავლო გეგმების განხილვა. სპეციალურად ამ დღისთვის ინსპექტორის აპარატმა მოამზადა ფაქტების კრებული, რომელიც ასახავდა სამი წლის განმავლობაში მიღწეულ შედეგებს.

პარტნიორებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მათი მოსაზრებების მოსმენის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინ-



სპექტორის აპარატმა 2016 წლის 14 აპრილს პარტნიორ საჯარო დაწესებულებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიის წარმომადგენლებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს წარუდგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების წინადადებები, ასევე ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით.

პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ევროკავშირისა და საქართველოში მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით 2016 წლის 28 იანვარს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა უმასპინძლა საზეიმო მიღებას, რომელზეც მონაწილეები იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, საჯარო და კერძო სექტორის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი. ასევე გაიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ გამოცხადებული ფოტო/ვიდეო/პოსტერების კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება.

## **საერთაშორისო ურთიერთობები**

ინსპექტორის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა სახელმწიფოთა საზედამხედველო ორგანოებთან ურთიერთობაა. საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრების მიზნით მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკის



გაზიარება, მსოფლიოში მონაცემთა დაცვის კუთხით მიმდინარე მოვლენების თვალყურის დევნება და საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობა.

2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი კვლავ აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, ჩართული იყო პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე არსებულ საერთაშორისო ფორმატებში და უცხოელ კოლეგებს სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოში მიღწეულ პროგრესსა და შედეგებზე.

2016 წლის დასაწყისში ინსპექტორის აპარატი განვერდიანდა ტელეკომუნიკაციის სფეროში პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო ჯგუფში (ბერლინის ჯგუფი), რომლის წევრებიც არიან სხვადასხვა სახელმწიფოს ეროვნული საზედამხედველო ორგანოები, საჯარო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები და მეცნიერები. ბერლინის ჯგუფის წევრობა ტექნოლოგიურ სფეროში მონაცემთა დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და ტენდეციებზე პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას იძლევა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი აქტიურად იყო ჩართული პერსონალური მონაცემების „ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (108-ე კონვენციის) ტექსტის მოდერნიზაციის პროცესში. 2016 წელს ინსპექტორი აირჩიეს 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის (T-PD) ბიუროს წევრად.

ინსპექტორის აპარატი არის პერსონალური მონაცემების დაცვის არაერთი საერთაშორისო გაერთიანებისა და კონფერენციის წევ-



რი. აპარატის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ პერსონალური მონაცემების დაცვის საზედამხედველო ორგანოების საერთაშორისო კონფერენციაში, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების საზედამხედველო ორგანოების გაერთიანების მე-18 სხდომაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ევროპული კონფერენციაში (Spring Conference) და ბერლინის ჯგუფის შეხვედრებში. აპარატის წარმომადგენლებმა საერთაშორისო შეხვედრებზე წარადგინეს ინფორმაცია საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობისა და სპეციფიკის შესახებ, ინსპექტორის აპარატის პრაქტიკასა და მიღწეულ შედეგებზე.

2016 წელს საკონსულტაციო ჯგუფ PMCG-სა და PwC-ის მხარდაჭერით, „UK-Georgia Reform Assistance“ პროგრამის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში ვიზიტით იმყოფებოდნენ დიდი ბრიტანეთის საინფორმაციო კომისრის ოფისის (ICO) წარმომადგენლები. ექსპერტებმა ინსპექტორის აპარატის თანამშრომლებს გაუზიარეს გამოცდილება აუდიტის ჩატარებისა და ინსპექტირების განხორციელების მიმართულებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა თბილისში 2016 წლის 5 დეკემბერს გამართულ ინტერნეტმმართველობის ეროვნულ ფორუმში და იყო აღნიშნული ფორუმის თანაორგანიზატორი. ფორუმის ერთ-ერთი პანელი სრულად ეძღვნებოდა ინტერნეტსივრცეში პერსონალურ მონაცემთა დაცვას. აპარატის წარმომადგენლები ასევე მონაწილეობდნენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თემაზე ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ რეგიონულ კონფერენციაში.



ინსპექტორის აპარატმა 2016 წლის 14-15 დეკემბერს უმასპინძლა პირველ რეგიონულ კონფერენციას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. კონფერენცია გაიმართა ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში და მას ესწრებოდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პერსონალური მონაცემების დაცვის საზედამხედველო და პასუხისმგებელი ორგანოები, ასევე ევროპის საბჭოს ექსპერტები. კონფერენციაზე მოხდა სახელმწიფოებს შორის გამოცდილების გაზიარება, პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში ხედვების შეჯერება და ევროპის საბჭოსთან სამომავლო თანამშრომლობის გეგმების განხილვა.

2016 წელს კვლავ აქტუალური იყო სხვა სახელმწიფოთა საზედამხედველო ორგანოებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატების ჩამოყალიბება და განვითარება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა სასწავლო ვიზიტების ფარგლებში უმასპინძლა მოლდოველ და სომეხ კოლეგებს, რომლებსაც გაუზიარა საკუთარი პრაქტიკა, გააცნო საქართველოს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა და სისტემა. მოლდოვის პერსონალური მონაცემების დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით მიწვეული იყო სომხეთში, სადაც კოლეგებს გააცნო საქართველოში გატარებული რეფორმები, აპარატის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და აპარატის როლი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.



## ინსაექსპორტის აპარატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ ფარგლებში საკონსულტაციო კომპანია „ჯეპრამ“ შეიმუშავა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2017-2021 წლების ინსტიტუციური განვითარების სტრატეგია და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა. განისაზღვრა აპარატის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული მიზნები და მათი შესაბამისი ამოცანები. სტრატეგიის თანახმად, 2017-2020 წლებში აპარატის მთავარი მიზნებია საქმიანობის ძირითადი მიმართულებების გაძლიერება და უწყების ეფექტიანობის ზრდა, ორგანიზაციული განვითარება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სტრატეგიული თანამშრომლობის გაძლიერება. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შემდგომ მოენყო სტრატეგიის პრეზენტაცია და მისი გაცნობა აპარატის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის.

## ფაილურ სისტემათა კავშირების რეაქსონი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს, თითოეულ ფაილურ სისტემასთან (მონაცემთა ბაზა, რომელშიც მონაცემები დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით) დაკავშირებით ანარმოს ფაილური სისტემის კატალოგი; ადგენს კატალოგით გათვალისწინებულ ინფორმაციას და ვალდებულებას, რომ მონაცემთა დამმუშავებელმა ორგანიზაციამ ფაილური სისტემის შექმნამდე, მასში ახალი კატეგორიის მონაცემის ან/და ცვლილების შეტანამდე აცნობოს ინსპექტორს. ინ-



სპექტორი აწარმოებს ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრს; რეესტრში შეტანილი ინფორმაცია საჯაროა და ინსპექტორი უზრუნველყოფს მის სათანადო წესით გამოქვეყნებას.

2015 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა შეიმუშავა ფაილურ სისტემათა კატალოგების ელექტრონული რეესტრი, 2016 წელს კი აპარატის მიერ განხორციელდა 2014-2015 წლებში კერძო თუ საჯარო სექტორის მონაცემთა დამმუშავებლების მიერ მოწოდებული 5000-მდე ფაილური სისტემების კატალოგის გაციფრულება.

ამასთან, 2016 წელს შეიმუშავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანება „ფაილური სისტემის კატალოგის წარმოების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის შეტყობინებისა და ფაილური სისტემის კატალოგების გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც, ფაილური სისტემის კატალოგის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ფაილურ სისტემათა კატალოგების ელექტრონული რეესტრის მეშვეობით. აღნიშნულის შედეგად გამარტივდა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ახალი ფაილური სისტემის კატალოგის ინსპექტორისთვის მოწოდება და მოწოდებული ფაილური სისტემის კატალოგების განახლება. ამასთან, ფაილური სისტემების კატალოგების ელექტრონული რეესტრი საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს, გაეცნონ, თუ რა სახის მონაცემებს ამუშავებენ საჯარო და კერძო ორგანიზაციები.



თბილისი, ნ.პარნაძის 7  
[+995 32] 2 42 1000

office@pdp.ge  
www.personaldata.ge  
FB/DPAGeorgiaOfficial



პერსონალურ მონაცემთა დაცვის  
ინსპექტორის აპარატი